ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ თაბაგარი; სოფიკო ბეგაშვილი

სახლის გაგება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა თაობაში

სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია წულაძე მეცნ.დოქტორი

თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი ეხება სახლის გაგებას აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა თაობაში. დევნილთა საკითხი და მათთან დაკავშირებული განწყობების გაჟღერება საქართველოსთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია. იძულებით გადაადგილებული პირები არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი სახლები დატოვეს, მაგრამ არ გადაუკვეთავთ სახელმწიფოს საზღვრები.

იძულებით გადაადგილებულ პირებს უწევთ მძიმე და სახიფათო გზის გავლა, მათთვის რთულია უცხო გარემოსთან ადაპტირება და მით უმეტეს თავის დამკვიდრება. მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, პირველ რიგში იძულებით გადაადგილებული პირები სულიერ ტრავმას განიცდიან, რაც მათი ფიზიკური საცხოვრებლის უეცარი ცვლილებითაა გამოწვეული. ადამიანები წყდებიან თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკასა და ნაცნობ გარემოს, რაც ხშირად მათი მძიმე სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიზეზი ხდება. სწორედ აფხაზეთში დარჩენილი და თბილისის ამჟამინდელ სახლთან დაკავშირებული სენტიმენტების, დამოკიდებულებების, შეგრძნებებისა და განცდების გამოვლენას ეხება მოცემული ნაშრომი.

ჩვენი კვლევის მიზანია, იძულებით გადაადგილებულ პირთა სენტიმენტების შესწავლა საცხოვრებლის მიმართ. როგორია თავად სახლის განცდა, როდესაც საქმე ეხება „ნამდვილსა“ და ამჟამინდელ სახლს. როგორია წარმოსახვითი და მეხსიერებაში დარჩენილი საცხოვრებელი, იქნება ეს გამოცდილებაში მქონე, თუ გადმოცემით გაგებული.

მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი სახის ამოცანები: სახლის გაგება უფროს თაობაში, რომელსაც ახსოვს თავიანთი სახლი აფხაზეთში; სახლის გაგება ახალგაზრდა თაობაში, რომელსაც არ ახსოვს/არ უნახავს თავიანთი სახლი აფხაზეთში; რა მსგავსი და განსხვავებული სენტიმენტებია ორივე თაობაში მათი ამჟამინდელი სახლის და იმ სახლის მიმართ, რომელიც მეხსიერებაშია ან გადმოცემით იციან.

საკითხის სიღრმისეული შესწავლისათვის, ჩატარდა თვისებრივი კვლევა. სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში გავესაუბრეთ თბილისში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების სამი თაობის წარმომადგენლებს: მათ ვისაც ახსოვთ აფხაზეთი, მოისაზრებიან მშობლები და ბებია-ბაბუები და ახალგაზრდებს, რომლებიც დაიბადნენ თბილისში და შესაბამისად, არ ახსოვთ აფხაზეთის მხარე.

თეორიულ მასალასა და კვლევის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა სახლის გაგებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტენდენციები იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა თაობაში. გამოვლინდა ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლითაც რესპონდენტები აფასებენ „ნამდვილ“ სახლს და აგრეთვე გაირკვა, თუ რომელ მათგანს უკავშირებენ „შინ ყოფნის“, „ნამდვილობისა“ და სახლთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან განცდებს, აფხაზეთისა თუ თბილისის სახლს. უფროს თაობაში დაფიქსირდა ნებაყოფლობით მუდმივი დაბრუნების, ხოლო ახალგაზრდა თაობაში გამოიკვეთა მხოლოდ სეზონური დაბრუნების სურვილი, შესაბამისი მიზეზებით.

ANNOTATION

Perception of Home among different generations of IDPs from Abkhazia

T. Tabagari; S. Begashvili

This paper refers perception of A HOME in different generations of IDPs from Abkhazia. Issue of IDPs and their sentiments are always important and urgent issue for Georgia. Internally displaced people are people who have left their homes but have failed to cross the state boundaries.

Internally displaced persons have a hard and dangerous road, it is difficult for them to adapt to a foreign environment, and more importantly, they are suffering from a serious environmental impact. People are experiencing their daily practices and familiar surroundings, which often lead to their hard spiritual and psychological condition. The present paper deals with revealing sentiments, attitudes, feelings and experiences related to the homes rest Abkhazia and currently located in Tbilisi.

Our research aims to study the sentiments of internally displaced persons with respect to their home. What is the feeling of the home when it comes to "real" and the current house. What is the imaginary and remnant in the memory home, whether it is in the experience or if it is heared.

The following objectives are laid out as per the purpose: understanding A HOME in older generation who remembers their homes in Abkhazia; Understanding A HOME in young generation who does not remember / see their homes in Abkhazia; What are these similar and different sentiments in both generations to their current home and the house that they know in memory or even only have heared about them.

Qualitative research was carried out for the in-depth study of the issue. Within the depth interviews, we talked to three generations of IDPs from Abkhazia who live in Tbilisi: those who remember Abkhazia - parents and grandparents and young people who were born in Tbilisi and do not remember Abkhazia.

Based on the theoretical material and the information received within the research, significant trends related understanding A HOME were identified in different generations of IDPs. The main criteria for evaluation of a real HOME by the respondents have been identified and also it was found out which of them is connected to "staying at home", "authenticity" and other important experiences related to the home of Abkhazia or Tbilisi. In the older generation the desire of voluntarily return has been shaped, while the younger generation revealed only the desire to seasonal returns for relevant reasons.

სარჩევი

შესავალი 6

საკვლევი საკითხის აქტუალობა 6

კვლევის მიზანი და ამოცანები 8

კვლევის მეთოდი 9

კვლევის ინსტრუმენტი 9

შერჩევა 9

კვლევის შეზღუდვები 10

თეორიული ნაწილი 11

კვლევის შედეგები 39

ყოველდღიური ცხოვრება აფხაზეთში 40

სახლის გაგება 45

სახლთან დაკავშირებული ასოციაციები 49

ორ სახლთან დაკავშირებული შეგრძნებები და განცდები 51

„ნამდვილი“ სახლის განცდა 57

მომავალი 59

შედარებითი ანალიზი 67

დასკვნა 71

გამოყენებული ლიტერატურა 77

დანართი 1 79

შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა

იძულებით გადაადგილებული პირები არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი სახლები დატოვეს, მაგრამ არ გადაუკვეთავთ სახელმწიფოს საზღვრები. პირები, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ არიან. ისინი მოცემული ქვეყნის მოქალაქეები არიან და სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელიც ამ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებს, მიუხედავად მათი საცხოვრებლისა, კონსტიტუციით ან სხვა სპეციალური კანონით აქვთ მინიჭებული. უფრო მეტიც, სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს ასეთი კატეგორიის მოქალაქეების ბედზე და ხშირად დამატებით პრივილეგიებს აწესებს მათთვის. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად: დევნილად (შემდგომ – დევნილი) ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. (მუხლი 1)

საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას დევნილი მოსახლეობის სახით უმნიშვნელოვანესი პრობლემა დაუდგა დღის წესრიგში, რომელიც სრულად დღემდე არ გადაუწყვეტია. 90-იან წლებში განვითარებული შეიარაღებული დაპირისპირებებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ათიათასობით ოჯახი მუდმივი საცხოვრებლის გარეშე დარჩა.

იძულებით გადაადგილებულ პირებს უწევთ მძიმე და სახიფათო გზის გავლა, მათთვის რთულია უცხო გარემოსთან ადაპტირება და მით უმეტეს თავის დამკვიდრება. უმეტეს შემთხვევაში მათი საცხოვრებელი პირობები მკაცრია. დევნილთა დიდი ნაწილის არსებობა დამოკიდებულია სახელმწიფო შემწეობასა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ

დახმარებაზე. მძიმე სოციალურ პირობებს ემატება ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა და ხარისხიანი სოციალური მომსახურების – განათლების, ჯანდაცვის - ნაკლებად ხელმისაწვდომობა.

მძიმე მატერიალური მდგომარეობა, წარმომადგენლობითი ორგანოების არარსებობა და სოციალური გარიყულობა უკვე ოც წელიწადზე მეტია, რაც დევნილთა ყოფის ძირითადი მახასიათებლებია. არ არსებობს ერთიანი ხმა, რომელიც დევნილთა თემებში არსებულ საკითხებსა და პრობლემებს საჯაროდ გაახმოვანებს. ეს გარემოება მათ იძულებულს ხდის, შეეგუონ საზოგადოებაში დამკვიდრებულ, ხშირ შემთხვევაში ნეგატიურ სტერეოტიპებს, რომლებიც მათი „სტიგმატიზაციის“ ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. სიღარიბე, უძლურება და მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ყოფნის სტერეოტიპული სურათი დევნილთა იდენტობის ნაწილი გახდა, რადგან ის, თუ როგორ აღგიქვამენ, მნიშვნელოვნად მოქმედებს იმაზე, თუ თავად როგორ აღიქვამ საკუთარ თავსაც. დევნილთა თვითაღქმა და რეპრეზენტაცია მხოლოდ მუდმივი უუნარობის ნარატივში გახდა შესაძლებელი, რაც ზღუდავს მათი აქტივობისა და ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობებს.

ზემოთ ჩამოთვლილ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, პირველ რიგში იძულებით გადაადგილებული პირები სულიერ ტრავმას განიცდიან, რაც მათი ფიზიკური საცხოვრებლის უეცარი ცვლილებითაა გამოწვეული. ადამიანები წყდებიან თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკასა და ნაცნობ გარემოს, რაც ხშირად მათი მძიმე სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიზეზი ხდება. მკვლევარები გადაადგილებას აღწერენ, როგორც ერთდროულად გაყოფილ და გაორმაგებულ არსებობას (Bammer 1994: xii), და ასევე ტრანსფორმაციისა და ახალი შესაძლებლობების გაჩენის პროცესს. (Brun 2008).

საინტერესოა იძულებით გადაადგილებულ პირთა სენტიმენტების შესწავლა საცხოვრებლის მიმართ. როგორია თავად სახლის განცდა, როდესაც საქმე ეხება „ნამდვილსა“ და ამჟამინდელ სახლს. როგორია წარმოსახვითი და მეხსიერებაში დარჩენილი საცხოვრებელი, იქნება ეს გამოცდილებაში მქონე, თუ გადმოცემით გაგებული. სწორედ აღნიშნული საკითხის შესწავლაა ჩვენი კვლევის მიზანი.

რა არის სახლი? მხოლოდ ოთხი კედელი, რომელში არსებობის უფლება და სურვილი გვაქვს, თუ რაღაც კიდევ უფრო მეტი? სახლი მრავალაზროვანი ტერმინია. სახლის გაგებაში შეიძლება იგულისხმებოდეს, როგორც უშუალოდ საცხოვრებელი სახლი, ასევე სოფელი, ქალაქი, რეგიონი ან ქვეყანა (Mallet 2004). სახლი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ადგილი, ვინაიდან ის მოიცავს ადამიანების ცხოვრების სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს. (Mallet 2004,Saunders & Williams 1888). სახლი აგრეთვე ადამიანებისათვის დაკავშირებულია გარკვეულ შეგრძნებებთან, რომელთაგანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაცულობის შეგრძნებაა.

სახლი არ არის უბრალოდ ფიზიკური ადგილმდებარეობა, რადგან შეუძლებელია განვაცალკევოთ პერსონალური გამოცდილება, სუბიექტური მნიშვნელობა და ასოციაციები იმ ფიზიკური გარემოსგან, სადაც ადამიანები ცხოვრობენ. არსებობს დიალექტიზმი სახლისა და იდენტობის ფორმირებას შორის, ვინაიდან იდენტობის ჩამოყალიბება შეიძლება მოხდეს ადგილის ან წარმოსახვითი ადგილების იდეების მეშვეობით და არა მხოლოდ ფაქტიური საცხოვრებლის მიხედვით (Morley. (2000).)

სახლი არის ადგილი, სადაც დროებითობა (წარსული,მომავალი) კვეთს სივრცულობას (ფიზიკური და წარმოსახვითი) და სოციალურ ურთიერთობებს. Rapport da Dawson (1998) ამტკიცებენ, რომ სახლი მოიცავს კულტურულ ნორმებსა და ინდივიდუალურ ფანტაზიებს და იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სივრცითი, სოციალური, ფსიქოლოგიური და ემოციური ელემენტების კომბინაცია (Easthope 2004).

კვლევის მიზანი და ამოცანები

ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ, თუ რას ნიშნავს „სახლი“ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა თაობაში.

დასახული მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი სახის ამოცანები:

1. სახლის გაგება უფროს თაობაში, რომელსაც ახსოვს თავიანთი სახლი აფხაზეთში.

2. სახლის გაგება ახალგაზრდა თაობაში, რომელსაც არ ახსოვს/არ უნახავს თავიანთი სახლი აფხაზეთში.
3. რა მსგავსი/განსხვავებული სენტიმენტებია ორივე თაობაში მათი ამჟამინდელი სახლის და იმ სახლის მიმართ, რომელიც მეხსიერებაშია ან გადმოცემით იციან.

კვლევის მეთოდი

საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შეირჩა თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ-სიღრმისეული ინტერვიუ, ვინაიდან აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა ნათლად დავინახოთ რესპონდენტის განცდები და სენტიმენტები, სიღრმისეულად შევისწავლოთ თითოეული რესპონდენტის ემოციური განწყობა და დამოკიდებულება საკითხის მიმართ. გარდა ამისა, რაც სიღრმისეული ინტერვიუს მთავარ ღირსებადაც ითვლება, იგი საშუალებას მოგვცემს უშუალოდ ინტერვიუს მსვლელობისას წამოვწიოთ ან განვავითაროთ ახალი თემები,რომლებიც აქტუალურია გამოკვლევისთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნა წინასწარ გათვალისწინებული კვლევის ეტაპზე.

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს კვლევის მიზნის შესაბამისად დასახულ ამოცანებზე დაყრდნობით შემუშავებული სადისკუსიო გეგმა.

შერჩევა

მიზნიდან გამომდინარე, ინტერვიუ ჩატარდა თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებთან, მათ ვისაც ახსოვთ და არ ახსოვთ ომამდე თავიანთი საცხოვრებელი სახლები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სამი თაობის წარმომადგენლებმა: 10 ინტერვიუ ჩატარდა 18-25 წლის ახალგაზრდებთან, რომლებიც დაიბადნენ თბილისში. 10- მათ მშობლებთან (35-55 წლის) და 10- ბებია-ბაბუებთან (65

წლის და მეტი). აგრეთვე, იმისათვის, რომ მეტად მივუახლოვდეთ სახლის განცდას, ინტერვიუ ჩატარდა საკუთარი ბინის მქონე ადამიანებთან და არა კომპაქტურად ჩასახლებულებთან. რესპონდენტები შეირჩნენ თოვლის გუნდის პრინციპით.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვა არის ის, რომ ინტერვიუ ჩატარდა მხოლოდ თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებთან და კვლევის ფარგლებს გარეთ დარჩნენ ის ადამიანები, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობენ. შესაძლოა მათი ხედვა და განცდები განსხვავებული ყოფილიყო.

თეორიული ნაწილი

იძულებით გადაადგილებული პირები არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი სახლები დატოვეს, მაგრამ არ გადაუკვეთავთ სახელმწიფოს საზღვრები. პირები, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებული მფარველობის ქვეშარიან. ისინი მოცემული ქვეყნის მოქალაქეები არიან და სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელიც ამ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებს, მიუხედავად მათი საცხოვრებლისა, კონსტიტუციით ან სხვა სპეციალურიკანონით აქვთ მინიჭებული. უფრო მეტიც, სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს ასეთი კატეგორიის მოქალაქეების ბედზე და ხშირად დამატებით პრივილეგიებს აწესებს მათთვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად: დევნილად (შემდგომ – დევნილი) ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. (თავი 1,მუხლი4).

იძულებით გადაადგილებული პირები ითვლებიან, რომ მიეკუთვნებიან იმ გარემოს, სადაც ისინი დაიბადნენ ან რომელთანაც მათ აქვთ გარკვეული ტიპის ბუნებრივი კავშირი და არ მიეკუთვნებიან იმ გარემოს, სადაც ისინი დროებით ცხოვრობენ. (Black 2002, Brun 2003, Malkki 1992, 1995).

საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას დევნილი მოსახლეობის სახით უმნიშვნელოვანესი პრობლემა დაუდგა დღის წესრიგში, რომელიც სრულად დღემდე არ გადაუწყვეტია. 90-იან წლებში განვითარებული შეიარაღებული დაპირისპირებებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ათი ათასობით ოჯახი მუდმივი საცხოვრებლის გარეშე დარჩა.

აფხაზეთის ომი 1992-1993 წლებში იყო ომი საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 20,000-დან 30,000-მდე ეთნიკური ქართველი, ხოლო 250,000-ზე მეტი ადამიანი კი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა. კონფლიქტის განმავლობაში ორივე მხარის მიერ ჩადენილი იქნა უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. მოკლული იქნა 2,500-დან 4,000-მდე აფხაზი, 20,000 აფხაზი კი ლტოლვილად იქცა. პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უწესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 88704 დევნილთა ოჯახი ცხოვრობს, აქედან 36212 ოჯახი კი უშუალოდ თბილისში ცხოვრობს.



იძულებით გადაადგილებულ პირებს უწევთ მძიმე და სახიფათო გზის გავლა, მათთვის რთულია უცხო გარემოსთან ადაპტირება და მით უმეტეს თავის დამკვიდრება. უმეტეს შემთხვევაში მათი საცხოვრებელი პირობები მკაცრია. დევნილთა დიდი ნაწილის არსებობა დამოკიდებულია სახელმწიფო შემწეობასა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებაზე. მძიმე სოციალურ პირობებს ემატება ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა და ხარისხიანი სოციალური მომსახურების – განათლების, ჯანდაცვის - ნაკლებად ხელმისაწვდომობა.

მძიმე მატერიალური მდგომარეობა, წარმომადგენლობითი ორგანოების არარსებობა და სოციალური გარიყულობა უკვე ოც წელიწადზე მეტია, რაც დევნილთა ყოფის ძირითადი მახასიათებლებია. არ არსებობს ერთიანი ხმა, რომელიც დევნილთა თემებში არსებულ საკითხებსა და პრობლემებს საჯაროდ გაახმოვანებს. ეს გარემოება მათ იძულებულს ხდის, შეეგუონ საზოგადოებაში დამკვიდრებულ, ხშირ შემთხვევაში ნეგატიურ სტერეოტიპებს, რომლებიც მათი „სტიგმატიზაციის“ ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. სიღარიბე, უძლურება და მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ყოფნის სტერეოტიპული სურათი დევნილთა იდენტობის ნაწილი გახდა, რადგან ის, თუ როგორ აღგიქვამენ, მნიშვნელოვნად მოქმედებს იმაზე, თუ თავად როგორ აღიქვამ საკუთარ თავსაც.(Vertovec 2001). დევნილთა თვითაღქმა და რეპრეზენტაცია მხოლოდ მუდმივი უუნარობის ნარატივში გახდა შესაძლებელი, რაც ზღუდავს მათი აქტივობისა და ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობებს.

მეხსიერების კვლევის კავკასიური ცენტრის მიერ ნორვეგიის საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტის დაფინანსებით ჩატარებული კვლევა დევნილთა ყოფის სიმბოლური მხარის შესწავლას ისახავს მიზნად. კვლევის შედეგებს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შემუშავებული რეკომენდაციები დაეფუძნა. აღსანიშნავია, რომ სხვა მოწყვლად ჯგუფებთან შედარებით, დევნილებზე არ მიმდინარეობს პირდაპირი ან სტრუქტურული ძალადობა, მაგრამ მათი გარიყულობის მიზეზი უფრო ღრმა კულტურულ შრეებში უნდა ვეძებოთ. რეკომენდაციები სიმბოლურ დონეზე გამოვლენილ ისეთ პრობლემათა გადაჭრას გულისხმობს, როგორიცაა სტიგმა,

იზოლაცია და თანაგრძნობის ნაკლებობა. კვლევის მიხედვით, აღნიშნული ფაქტორები ყველაზე მეტად აფერხებენ დევნილთა ინტეგრაციას.

მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, პირველ რიგში იძულებით გადაადგილებული პირები სულიერ ტრავმას განიცდიან, რაც მათი ფიზიკური საცხოვრებლის უეცარი ცვლილებითაა გამოწვეული. ადამიანები წყდებიან თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკასა და ნაცნობ გარემოს, რაც ხშირად მათი მძიმე სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიზეზი ხდება. დევნილებს იძულებით უხდებათ იმ სახლების დატოვება, სადაც ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი აქვთ გატარებული. შესაბამისად, ახალ გარემოში დასახლების შემდეგ, ისინი განიცდიან ნოსტალგიასა და სხვადასხვა სახის სენტიმენტებს „ნამდვილი“ სახლის მიმართ და აგრეთვე, ახალ საცხოვრებელთან ადაპტირების პროცესის სირთულეებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევა სახლის გაგებასთან დაკავშირებული სენტიმენტების შესწავლას გულისხმობს, თავდაპირველად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ რას წარმოადგენს „სახლი“, როგორ განმარტავენ მას სხვადასხვა მკვლევარები და მოგვიანებით გვსურს მიმოვიხილოთ ის კვლევები, რომლებიც აღნიშნულ თემას ესადაგება.

მკვლევარები გადაადგილებას სხვადასხვაგვარად აღწერენ. ეს არის როგორც ერთდროულად გაყოფილი და გაორმაგებული არსებობა. (Bammer 1994: xii), და ასევე ტრანსფორმაციისა და ახალი შესაძლებლობების გაჩენის პროცესი. (Brun 2008).

რა არის სახლი? მხოლოდ ოთხი კედელი, რომელში არსებობის უფლება და სურვილი გვაქვს, თუ რაღაც კიდევ უფრო მეტი?! სახლი მრავალაზროვანი ტერმინია. სახლის გაგებაში შეიძლება იგულისხმებოდეს, როგორც უშუალოდ საცხოვრებელი სახლი, ასევე სოფელი, ქალაქი, რეგიონი ან ქვეყანა (Mallet 2004). სახლი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ადგილი, ვინაიდან ის მოიცავს ადამიანების ცხოვრების სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს. (Mallet 2004,Saunders & Williams 1888). სახლი აგრეთვე ადამიანებისათვის დაკავშირებულია გარკვეულ შეგრძნებებთან, რომელთაგანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაცულობის შეგრძნებაა. სახლი არ არის უბრალოდ ფიზიკური ადგილმდებარეობა, რადგან შეუძლებელია განვაცალკევოთ

პერსონალური გამოცდილება, სუბიექტური მნიშვნელობა და ასოციაციები იმ ფიზიკური გარემოსგან, სადაც ადამიანები ცხოვრობენ. არსებობს დიალექტიზმი სახლისა და იდენტობის ფორმირებას შორის, ვინაიდან იდენტობის ჩამოყალიბება შეიძლება მოხდეს ადგილის ან წარმოსახვითი ადგილების იდეების მეშვეობით და არა მხოლოდ ფაქტიური საცხოვრებლის მიხედვით (Morley, 2000).

სახლი არის ადგილი, სადაც დროებითობა (წარსული,მომავალი) კვეთს სივრცულობას (ფიზიკური და წარმოსახვითი) და სოციალურ ურთიერთობებს. რეპორტ (Rapport) და დაუსონ (Dawson) (1998) ამტკიცებენ, რომ სახლი მოიცავს კულტურულ ნორმებსა და ინდივიდუალურ ფანტაზიებს და იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სივრცითი, სოციალური, ფსიქოლოგიური და ემოციური ელემენტების კომბინაცია (Easthope 2004).

სახლი იკავებს ცენტრალურ პოზიციას, როდესაც სოციალური ურთიერთობები და მოგონებები ასოცირებულია კონკრეტულ ადგილთან. (Black 2002, Mallet 2004, Zetter 1999) უფრო ფართო გაგებით რომ ვთქვათ, ყოველდღიური ცხოვრება და რუტინა კონცენტრირებულია სახლზე, რომელშიც ადამიანები ეძებენ ნორმალურ ცხოვრებასა და უსაფრთხოებას კრიზისულ სიტუაციებში და ასევე არეულობის დროს. (Borell 2008). ადამიანები იძულებულები იყვნენ დაეტოვებინათ არა მხოლოდ თავიანთი სახლები, უშუალოდ საცხოვრებელი შენობები, არამედ ის ადგილებიც, სადაც ეს სახლები მდებარეობს და აგრეთვე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ იძულებით დატოვეს სოციალური ურთიერთობები, რაც ამ ადგილებთან იყო ასოცირებული. სწორედ აღნიშნული ადგილების დაკარგვას ცენტრალური ადგილი უჭირავს დევნილთა იდენტურობაში (Zetter 1999, Stefansson 2006). ჩვეულებრივ, სახლი დაკავშირებულია წარსულის მეხსიერებასთან და აგრეთვე გეგმებთან და იდეებთან მომავლის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, საცხოვრებელი ადგილებისა და სოციალური ურთიერთობების დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს მომავლის გამოცდილების დაკარგვაც. (Black 2002, Stefansson 2006, Zetter 1999).

ამ მიზეზებზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოვყოთ სახლი, როგორც ადგილი, სახლი, როგორც ობიექტი და სახლი, როგორც საქმიანობა. სახლი,როგორც ადგილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გეოგრაფიული ადგილი: სოფელი, ქალაქი ან

რეგიონი, სადაც აღნიშნული სახლი მდებარეობს. სახლი, როგორც ობიექტი შეესაბამება ფიზიკურ საცხოვრებელს, ეს იქნება ბინა თუ კერძო სახლი. ეს არის ადგილი, ხალხის ძალისხმევის ობიექტი, სადაც მიმდინარეობს ოჯახური აქტივობები, სოციალური ურთიერთობები და ყოველდღიური რუტინა. მარტივად რომ ვთქვათ, ეს მოდელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს იერარქიულ ფორმაში, სადაც სახლი (home) არის რაღაც, რაც არაერთხელაა წარმოდგენილი სხვადასხვა გზით სახლში (house) და ეფექტურად გარდაქმნის საცხოვრებელ ადგილს (dwelling) სახლად (home), რომელიც მდებარეობს კონკრეტულ ზონაში. (Lundgren 2014). მკვლევარები ამბობენ, რომ პერიოდულმა ვიზიტმა ყოფილ სახლში და ძველი თაობის მიერ სახლის დაკარგვასთან დაკავშირებით მოყოლილმა ისტორიებმა შეიძლება გაზარდოს და გააძლიეროს ახალგაზრდა თაობის კავშირი და მიკუთვნებადობა ყოფილი სახლებისა და ადგილების მიმართ. (Ahmed 1999, Khalili 2004, Powers 2011).

აგრეთვე საინტერესოა „სახლის“ (home) ცნების გაგება შუტცის თვალსაზრისით. როგორც იგი აღნიშნავს თავის ნაშრომში „სახლი“ სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა მნიშვნელობის შეიძლება იყოს. ზოგისთვის ეს არის ნაცნობი პეიზაჟები, ზოგისთვის ნაცნობი მელოდიები, მშობლიური ენა, მეგობრები, ნათესავები. თუმცა შეიძლება „სახლი“ ასე დავახასიათოთ, „სახლი“ ეს არის ცხოვრების განსაკუთრებული წესები, რომლებიც შეჩვეული და ასევე ჩვენთვის ძვირფასი ელემენტებისგან შედგება. (Schuetz, 1945).

შუტცი განიხილავს სახლის სხვადასხვა ინტერპრეტაციას. “სახლი” ეს არის ის, საიდანაც ვიწყებთ _ იტყოდა პოეტი. “სახლი” ეს არის ადგილი, სადაც ყველა ცდილობს დაბრუნდეს, როცა სხვაგანაა _ იტყოდა იურისტი. “სახლში” იგულისხმება კოორდინატთა სისტემა ნულოვანი წერტილით, რომელსაც მივაწერთ მსოფლიოს, რათა ვიპოვოთ მასში ჩვენი ადგილი. გეოგრაფიულად კი “სახლი” არის განსაზღვრული ადგილი დედამიწის ზედაპირზე. თუმცა “სახლი” არ არის მხოლოდ ნავსაყუდელი, არ არის უბრალოდ სახლი, უბრალოდ ოთახი, ბაღი, ან უბრალოდ ციხესიმაგრე. “სახლის” გაგების სიმბოლური დახასიათება ემოციურადაა შენიღბული და ძნელია მისი აღწერა. “სახლი” განსხვავებული ადამიანებისთვის განსხვავებულ საგანს წარმოადგენს. ის

უმრავლესობისთვის მამისეულ სახლს, მშობლიურ ენას, ოჯახს, მეგობრებს, საყვარელ პეიზაჟებს და იმ სიმღერებს ნიშნავს, რომლებსაც დედა გვიმღეროდა, ასევე განსაზღვრული წესებით მომზადებულ საჭმელს, ყოველდღიურად მიჩვეულ საგნებს, ფოლკლორს და პირადულ ჩვევებს. მოკლედ "სახლი" ესაა ცხოვრების განსაკუთრებული წესები, რომელიც პატარა შეჩვეული და ამასთანავე ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ელემენტებისაგან შედგება. (Schuetz, 1945).

"სახლი" არსებობს სამი ტიპის ადამიანისთვის: ადამიანისთვის, რომელიც სახლს არასდროს ტოვებს, ადამიანისთვის, რომელიც სახლიდან მოშორებით ცხოვრობს და ადამიანისთვის, რომელიც სახლში ბრუნდება.

რას ნიშნავს სახლი იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, რა ემოციური დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ, როგორია „ნამდვილი" სახლის განცდა საინტერესოდ აქვთ განხილული staten island-ის კოლეჯის , პოლიტიკის, ეკონომიკის და ფილოსოფიის პროფესორს პიტერ კაბაჩნიკს, რატგერსის უნივერსიტეტის საერთაშორისო და გლობალურ საქმეთა ვიცე პრეზიდენტს, ნიუ ჯერსის უნივერსიტეტის , ქალთა და გენდერის კვლევის პროფესორს, ჯოანა რეგულსკასა და არიზონას უნივერსიტეტის პროფესორს ბეტ მიჩნეკის კვლევაში სახელწოდებით : "Where and when is home? The double displacement of Georgian IDPs from Abkhazia"

აღნიშნულმა პროფესორებმა იძულებით გადაადგილებულ პირთა შესწავლა დაიწყეს იმ მიზნით, რათა გაერკვიათ ადგილისა და სახლის როლის მნიშვნელობა დევნილების ცხოვრებაში. რა დატვირთვა აქვს მათთვის წარსულის, ახლანდელსა და მომავლის სახლს. მათ იკვლიეს, თუ როგორ განიხილავდნენ იძულებით გადაადგილებული პირები სახლს, რა კონცეპტუალიაზაციას აძლევდნენ სახლის მნიშვნელობას მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და რთული საცხოვრებელი პირობების ქვეშ. აღნიშნული კვლევა ჩატარდა 2007 წელს, საქართველოს შემდეგ ქალაქებში: ზუგდიდი, ქუთაისი, წყალტუბო და თბილისი. მონაწილეობა მიიღო 118-მა რესპონდენტმა. (60 ქალი და 58 მამაკაცი.) თვითოეული ინტერვიუ გრძელდებოდა დაახლოებით 90 წუთი.

ზემოთ ხსენებულ კვლევაში მოხსენიებულია ტერმინი - „სახლი, როგორც მოგზაურობა", რაც სახლს ანიჭებს დროში გაწელვად და რეგულირებად სახეს.

დევნილებისათვის წარსულის სახლი ასოცირებულია ნორმალურ და დაცულ ცხოვრებასთან, ხოლო მომავლის სახლი კი წარსულის სახლში დაბრუნების უდიდეს სურვილთან და მატერიალური უსაფრთხოების შექმნასთან ოჯახისათვის და შვილებისათვის. სახლი დანახულია, როგორც წარმოშობის ადგილი და ასევე როგორც საცხოვრებელი, იგივე დანიშნულების წერტილი. სახლი, როგორც მოგზაურობა წარმოადგენს მგრძნობიარე, ნოსტალგიურ მოგზაურობას დროსა და სივრცეში, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ადამიანების ცხოვრებისეულ გამოცდილებას. (Mallett 2004:69) იძულებით გადაადგილებული პირები მიჯაჭვულნი არიან წარსულს და ფოკუსირებას მთლიანად წარსულის ადგილებზე ახდენენ. (Jansen 2008) სახლის ადგილმდებარეობა წარსულის სახლთანაა დაკავშირებული და ისიც მხოლოდ მოგონებების და მონატრების გრძნობის ქვეშ. (Ray 2000) დევნილებისათვის აფხაზეთის სახლი ასოცირდება ნორმალურ ცხოვრებასთან, უსაფრთხოების შეგრძნებასთან, სიმდიდრესთან, კომფორტთან, ხოლო მათ ამჟამინდელ საცხოვრებელს ყველაფერი ამის საწინააღმდეგო მახასიათებლები აქვს.

იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით მოხსენიებულია ტერმინი : „ ორმაგი გაადგილება“ და „ორმაგი ნოსტალგია“ (Rashid 1994; Hadjiyanni 2002) ადგილთან და დროსთან მიმართებაში. მათ ფიზიკურად მოუხდათ თავიანთი საცხოვრებლების მიტოვება აფხაზეთში და სახლის გაგების გაცნობიერება წარსულის, აწმყოს და მომავალზე ფიქრში.

კვლევაში საუბარია სახლის განმარტებაზე და სახლის მნიშვნელობაზე ადამიანების ცხოვრებაში. სახლი განსაზღვრულია, როგორც ზრუნვის, ყურადღების, საიმედოობის განცდის ადგილი. სახლის ცნებაში გაერთიანებულია სივრცითი, სოციალური, ფსიქოლოგიური და ემოციური ელემენტები. ის დიდ როლს თამაშობს იდენტობის, სოციალიზაციის და კულტურული ნორმების და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. ასევე დაკავშირებულია ადამიანების სამომავლო იმედებთან და წარსულის მოგონებებთან.

კვლევის ავტორები სახლს მოიხსენიებენ, როგორც მოგზაურობას წარსულს, აწმყოსა და მომავალში. ისინი ამბობენ, რომ სახლი ამ გაგებით განხილული არის კულტურულ,

ანთროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ სწავლებებში, სადაც მთავარი კონცეფციაა სახლის დატოვება და სახლის ძიება. მალეტი სახლს აღწერს, როგორც დროში განგრძობად პროცესს მშობლიურ, წარმოშობის სახლსა და სამომავლო საოცნებო სახლს შორის. აღნიშნული პროცესი რამდენადაც მისაღებია ნებისმიერი სხვა ადამიანისათვის, იმდენად ძალიან მნიშვნელოვანი, მტკივნეული და სიღრმისეულია იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, რამდენადაც მათ თავიანთი სურვილით არ მიუტოვებიათ სახლი და დაბრუნებასთან დაკავშირებული სიტუაციაც ბუნდოვანია. (Mallett 2004).).

რაც შეეხება სამომავლო სახლს, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ის ორ მნიშვნელოვან საკითხთანაა დაკავშირებული, ესაა აფხაზეთში დაბრუნების იმედი და აქცენტის გაკეთება საკუთარ ოჯახზე და შვილებზე. უმეტესი მათგანისთვის აფხაზეთში საკუთარ სახლში დაბრუნება ცხოვრების მთავარი მიზანია და ფიქრობენ, რომ ხელისუფლებამ ერთადერთი რაც უნდა გააკეთოს, აფხაზეთის დაბრუნებაა. მეორე საკითხს რაც შეეხება, ოჯახი და შვილები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მომავლის განსაზღვრაში. იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დაკარგული ოჯახის წევრების ნახვა და იქ მიტოვებული საფლავების მონახულება მართლაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია საკუთარი ადგილის, საკუთარი სახლის ქონა და უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა თავიანთი შვილებისათვის. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ არ სურთ მათ შვილები ატარებდნენ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს, რომელიც ერთგვარ სტიგმას წარმოადგენს.

წარსულის და მომავლის სახლზე ფოკუსირებისას, მკვლევარებს ყურადღების მიღმა არ რჩებათ იძულებით გადაადგილებულ პირთა იმჟამინდელი საცხოვრებელი და მისი როლის მნიშვნელობა აღნიშნული პირების ყოველდღიური ცხოვრების რუტინასა და სოციალურ ურთიერთობებში. კვლევამ ცხადყო, რომ იძულებით გადაადგილებული პირები დროის უმატეს ნაწილს სახლში ატარებენ, უვარგის საცხოვრებელი პირობებში. სოციალური ურთიერთობის ასევე დიდი ნაწილი მათთვის სოციალურ ქსელებს უჭირავს, სადაც ისინი ეკონტაქტებიან ასევე სხვა იძულებით გადაადგილებულ პირებს აფხაზეთიდან, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზეთში ყოფნის პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებული პირები დიდ დროს ატარებენ ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც იგივე გამოცდილება აქვთ. ასე უფრო მარტივია მათთვის წარსულის და მომავლის სახლზე საუბარი და განცდების გაზიარება. საუბარი ეხება უფრო მეტად კოლექტიურ საცხოვრებლებში განთავსებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელთა სოციალური წრე შედგება ოჯახის წევრებისა და მეზობლებისგან, რომლებსაც იგივე სურვილები და მიზნები ამოძრავებთ, როგორიცაა აფხაზეთში დაბრუნება და ნამდვილი სახლში ცხოვრების შეგრძნება.

პიტერ კაბაჩნიკი და ჯოანა რეგულსკა თავიანთ კვლევაზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ იძულებით გადააგილებულ პირთა მიერ სახლის გაგება არ არის მხოლოდ მათი წარსულის მოგონებების და სამომავლო სურვილების შედეგი, არამედ გარეშე ფაქტორებზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, როგორიცაა მაგალითად მთავრობის მიერ გატარებული პილიტიკა.

გარდა ამისა, კვლევამ ცხადყო, რომ ქართველებისა და აფხაზების მიერ ერთმანეთის რადიკალურად განსხვავებული აღქმა სამომავლო დიალოგის შესაძლებლობას ამცირებს. შეხედულებების ჩამოყალიბებაში კი ორი ელემენტი თამაშობს როლს: ერთი მთავრობის პოლიტიკაა, რომელიც კონფლიქტის დაწყებიდან არსებობს და რუსეთს კონფლიქტის ძირითად მხარედ მიიჩნევს, მეორე კი თავად იძულებით გადაადგილებულ პირთა ინდივიდუალური ემოციები. ისინი აფხაზეთს უკიდურესი ნოსტალგიითა და სიყვარულით იხსენებენ, რაც მეორეს მხრივ იმედგაცრუებასა და აფხაზების მიმართ მტრობას თითქმის მთლიანად ფარავს. გამოკითხული დევნილების უდიდეს ნაწილს აფხაზეთში დაბრუნება სურს. არის თუ არა ეს რეალობას მოკლებული ოცნება ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში დევნილები მზად არიან საკუთარ სახლებს დაუბრუნდნენ.

ზემოთ ნახსენები კვლევის გარდა, გვსურს განვიხილოთ კიდევ ერთი კვლევა სათაურით: „დევნილთა დამოკიდებულებების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილების შესახებ; საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება.“

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) დაკვეთით, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ ჩატარდა საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა კვლევა, რომლის მიზანი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნებასა და ალტერნატიულ გრძელვადიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების გაჟღერება და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების ინფორმირება დასახული გეგმების შესახებ. კვლევის ფარგლებში სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა გამოკითხა 2001 (ორი ათას ერთი) იძულებით გადაადგილებული პირი 2014 წლის ოქტომბერ-დეკემბერში თბილისსა და საქართველოს ათ რეგიონში. კვლევა მოიცავს აფხაზეთის ყველა რაიონიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ სხვადასხვა საბინაო პირობებში, მათ შორის კოლექტიურ ცენტრებში, კოტეჯური ტიპის დასახლებებში და კერძო სახლებში.

კვლევის სამიზნე ჯგუფი გაყოფილი იყო ოთხ ნაწილად:

ა) იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთიდან.

ბ) იძულებით გადაადგილებული პირები 2008 წლის კონფლიქტის დროს.

გ) იძულებით გადაადგილებული პირები გალის რაიონიდან, აფხაზეთი.

დ) იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთის სხვა რაიონებიდან.

რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამი ძირითადი გრძელვადიანი გადაწყვეტილების არჩევანთან დაკავშირებით:

1. ნებაყოფლობითი დაბრუნება: მდგრადი და ნებაყოფლობითი დაბრუნება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას.
2. ინტეგრაცია: მდგრადი ადგილობრივი ინტეგრაცია იმ ადგილებში, სადაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა თავშესაფარი ჰპოვეს.
3. ახალ ადგილას განსახლება: მდგრადი ინტეგრაცია ქვეყნის სხვა ნაწილში (ჩასახლება ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში.)

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები: რესპონდენტთა მნიშვნელოვან უმრავლესობას სურს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობითი დაბრუნება, რაც შეადგენს გამოკითხულთა 88.3%-ს, ხოლო მხოლოდ 4 %-ს ნამდვილად არ სურს ნებაყოფლობითი დაბრუნება და 2.5%-მა არ იცის.

ოთხივე სამიზნე ჯგუფში ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის მთავარ მიზეზებად დასახელდა შემდეგი: 1. „მსურს ნებაყოფლობითი დაბრუნება, დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან, ემოციური კავშირის გამო.“ (30.9%) 2. „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, რადგან იქ ჩემი სახლი და ჩემი ქონებაა.“ (28.7%) 3. „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, რადგან იქ ჩემი ნათესავების საფლავებია.“(26%)

ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის პრიორიტეტული მიზეზები

რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც გსურთ დაბრუ-ნება?	სულ	2008 წელს გა-დაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
ემოციური კავშირი ჩემს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან	71.9%	77.3%	77.5%	67.5%	66.5%	67.0%
ჩემი სახლი და საკუთრება იქ არის	66.9%	70.3%	63.0%	68.1%	65.5%	66.8%
იქ ჩემი ნათესავების საფლავებია	60.6%	69.1%	64.9%	59.7%	49.7%	54.7%
ჩემი ოჯახი და ნათესავები იქ იმყოფებიან	19.4%	12.7%	8.4%	16.6%	38.1%	27.3%
სოციალური და ეკონომიკუ-რი შესაძლებლობები	12.4%	24.4%	6.1%	11.0%	7.4%	9.2%
სხვა	0.3%	0.5%	0.4%	-	0.2%	0.1%
არ ვიცი	1.5%	0.5%	1.5%	1.9%	2.1%	2.0%

იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰკითხეს, გრძნობდნენ თუ არა თავს ინტეგრირებულად, ნაწილობრივ ინტეგრირებულად თუ არაინტეგრირებულად. 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებული პირები ყველაზე მეტად ინტეგრირებულად თვლიან თავს, ხოლო 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები ნაწილობრივ ინტეგრირებულად ან არაინტეგრირებულად. დევნილთა მხოლოდ მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ არ თვლის თავს ინტეგრირებულად.

ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილი დიდად არ განსხვავდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით, თუმცა მიღებული მონაცემების ანალიზი

აჩვენებს, რომ მამრობითი სქესის რესპონდენტებმა უფრო ხშირად გამოთქვეს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილი, ვიდრე ქალებმა, ხოლო ქალებმა მეტად ამჯობინეს ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე დარჩენა.

ცხრილი№3.1ა[27] იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები სქესის მიხედვით

იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები სქესის მიხედვით:	სქესი:	
	მდედრობითი	მდედრობითი
დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება	72.8%	78.4%
ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას დარჩენა	21.1%	16.4%
საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონში გადასვლა	1.7%	2.0%
საზღვარგარეთ ემიგრაცია	2.3%	2.4%
არ ვიცი	2.1%	0.8%
სულ	100%	100%

საინტერესოა, რომ რესპონდენტთა დასაქმებულებად და უმუშევრებად დაყოფის შემდეგ, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავებები ნებაყოფლობით დაბრუნებასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა.

გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შეთავაზების შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებული პირები ამჯობინებენ მათი ამჟამინდელი საცხოვრებლის პრივატიზაციას (26.3%) ან აირჩევდნენ დიდ ქალაქში რეაბილიტირებულ კოლეტიურ ცენტრში განსახლებას, (13.7%) არარეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრში განსახლებას თბილისში, (9.3%) ან სოფელში საცხოვრებლის მიღებას. (8.5%) რესპონდენტთა ერთ მეხუთედს არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი არ აკმაყოფილებს. მონაცემები მსგავსია ოთხივე სამიზნე ჯგუფში.



კიდევ ერთხელ რომ დავუბრუნდეთ იძულებით გადაადგილებულ პირთა სურვილს დაბრუნებასთან დაკავშირებით, (რომელიც ჩვენი კვლევის თემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიცაა), გამოვლინდა მნიშვნელოვანი შედეგები. კერძოდ: ოთხივე სამიზნე ჯგუფში, ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის მთავარ მიზეზებად დასახელდა ემოციური კავშირები, კერძო საკუთრება და ნათესავთა საფლავების მონახულება. ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილი ურთიერთ კავშირშია ასაკთან, სქესთან და გადაადგილების დროს რესპონდენტთა ასაკთან. 16-24 და 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტებს ნაკლებად სურთ ნებაყოფლობით დაბრუნება, ვიდრე 40-59 და 60 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს.

ცხრილი № 3.1ბ იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით :	**16-24**	**25-39**	**40-59**	**60 +**
დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება	62.7%	66.6%	77.5%	79.1%
ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას დარჩენა	24.4%	25.1%	18.4%	17.9%
საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონში გადასვლა	2.8%	3.3%	1.2%	0.6%
საზღვარგარეთ მიგრაცია	8.3%	3.6%	1.7%	0.2%
არ ვიცი	1.8%	1.4%	1.2%	2.2%
სულ	100%	100%	100%	100%

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მნიშვნელოვანია მათი სოციუმთან ურთიერთობის, ხელახალი ადაპტაციის საკითხი. უცხოდან მშობლიურ გარემოში დაბრუნებისას მნიშვნელოვანია მათი ემოციური განწყობები. ამ საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის აუცილებელია ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ფენომენი განვიხილოთ. პირველ შემთხვევაში იძულებით გადაადგილებულ პირებს შეიძლება დაემართოთ გაუცხოება, მანამდე მათთვის მშობლიური გარემოს მიმართ, მეორე შემთხვევაში კი პირიქით, განსხვავებულ გარემოში ყოფნისას შესაძლებელია გაუმძაფრდეთ მათი მშობლიური გარემოს მიმართ მიკუთვნებულობა, რაც გამოწვეულია, ინდივიდისთვის დამახასიათებელი, ჯგუფის მიმართ მიკუთვნებულობით. ინდივიდები, რაც მეტად იდენტიფიცირდებიან ჯგუფებთან, მით მეტად ემსგავსებიან სოციალურ პიროვნებებს. თითოეული ინდივიდი თავს აფასებს და ადარებს საერთო კულტურულ იდენტობას და ასე აყალიბებს საკუთარს. ინდივიდები უპირატესობას ანიჭებენ კულტურას და მეტად აკმაყოფილებენ გარემოსთან ადაპტაციის ფუნქციას (Berry, Dasen, & Saraswathi, გვ. 43-64). ეს წყარო კარგად ასახავს ინდივიდების ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ხარისხს. როგორ გავლენას ახდენს ჯგუფი ინდივიდის ჩამოყალიბებაში და როგორ ემსგავსება ინდივიდი ამ ჯგუფის წევრებს. შესაბამისად, დევნილებისთვის მისთვის უცხო გარემო, შეიძლება ძალიან მიუღებელი აღმოჩნდეს და ამან საკუთარი, მშობლიური გარემოს მიმართ მიკუთვნებულობა, მონატრება გაუმძაფროს.

ამ სირთულეების საილუსტრაციოდ, გვსურს მოვიყვანოთ ალბერტ შუტცის ნაშრომები: „უცხო“ და „სახლში დაბრუნებული“ . აღნიშნულ შრომებში ნათლად ჩანს, თუ რა სირთულეებს გადის ადამიანი უცხო გარემოში მოხვედრის შემდეგ. ორივე ნაშრომი ასახავს იმ გაუცხოებას, რაც განსხვავებულ გარემოში ყოფნის შემდეგ შეიძლება იგრძნოს ადამიანმა.

თავდაპირველად განვიხილავთ ალბერტ შუტცის ნაშრომს “სამშობლოში დაბრუნებული“. ვფიქრობთ, რომ ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი იმ

სირთულეების შესახებ, რისი გადალახვაც მშობლიურ გარემოში დაბრუნების შემდეგ შეიძლება მოუხდეს ადამიანს.

თავის ნაშრომში „სახლში დაბრუნებული“ შუტცი საუბრობს ჯარისკაცებზე, მათ ინტეგრირებაზე განსხვავებულ გარემოში და გაუცხოებაზე საკუთარი მშობლიური გარემოს მიმართ. „სახლში დაბრუნებულისთვის“ სახლი არის ადგილი, სადაც წესით მან უნდა შეძლოს თავისი ცოდნის გამოყენება და ასე მოახდინოს რეინტეგრირება, გარემოში ხელახლა შესვლა, თუმცა სწორედ ამ დროს არის გაუცხოება განსაკუთრებული შოკი. მისთვის, ვინც მოშორდა მშობლიურ გარემოს, სახლი სრულიად განსხვავებულად აღიქმება მათგან, ვინც დარჩა ამ გარემოში, დარჩა სახლში. სახლში დაბრუნებული სწორედ იმით განსხვავდება უცხო გარემოში მოხვედრილი ადამიანისგან, რომ უცხო გარემოში მოხვედრისას ადამიანს არ აქვს ცოდნა და არც იმის გარანტია, რომ შეძლებს ინტეგრირებას, ხოლო მშობლიურ გარემოში სწორედ ეს მოლოდინი აქვს. (Schuetz, 1945).

ამ წყაროებზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ მშობლიურ გარემოში დაბრუნების შემდეგ, იძულებით გადაადგილებულ პირებს შეიძლება უცხოდ მოეჩვენოთ მათთვის მანამდე ახლობელი გარემო და ვეღარ მოახერხონ ადაპტაცია.

გამონათქვამი - ვიგრძნოთ თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში, ნიშნავს ინტიმურობისა და სიახლოვის უმაღლეს ფორმას. სახლში ცხოვრებას გააჩნია ზუსტად განსაზღვრული მიზანი, რომელიც შეიცავს ჩვევების, ტრადიციების, ინსტიტუტების ნაკრებს, ყველა სახის მოღვაწეობის განრიგს. ყოველდღიური ცხოვრების უმეტესი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას უკვე არსებული ცნობილი ნიმუშების მიხედვით. არ ჩნდება იმის მოთხოვნილება, რომ სიტუაცია, რომელშიც ადრე მოვხვედრილვართ, ხელახლა განვსაზღვროთ და გავაანალიზოთ, ან/და ნაცნობი პრობლემის გადასაჭრელად ახალი გზები ვეძიოთ მაშინ, როცა მსგავსი პრობლემის გადაჭრის ხერხები ჩვენთვის უკვე ნაცნობია. გამოხატვისა და ინტერპრეტაციის საკუთარი სქემა არეგულირებს არა მარტო სახლში ცხოვრების პირობებს, არამედ ეს სქემა საერთოა იმ ჯგუფის ყველა წევრისთვის, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ვსარგებლობთ რა ამ სქემით, ჩვენ გავუგებთ სხვებსაც, ისინი კი ჩვენ. ჩვენ ყოველთვის გვაქვს შანსი

სუბიექტურად ან ობიექტურად ვიწინასწარმეყტყველოთ ვიღაცის მოქმედება ჩვენს მიმართ, ისევე როგორც მათი რეაქცია ჩვენს მოქმედებაზე. ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ გამოვიცნოთ რა მოხდება ხვალ, არამედ დავგეგმოთ უფრო შორეული მომავალი. საგნები რჩებიან ისეთები, როგორებიც იყვნენ. რა თქმა უნდა ყოველდღიურობაში არის ახალი სიტუაციები და მოულოდნელი მოვლენები, მაგრამ სახლში ყოველდღიური რუტინისაგან გადახვევა იმ მეთოდებით იმართება, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ყოველთვის ახერხებენ თავი გაართვან ექსტრაორდინალურ სიტუაციებს. სოციალური ურთიერთდამოკიდებულების ტერმინებში შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება სახლში ეს არის ცხოვრება ე. წ. პირველად ჯგუფებში. (Schuetz, 1945).

შეუსაბამობა უნიკალურობასა და მნიშვნელოვნებას (რომლებსაც წასული მიაწერს საკუთარ გამოცდილებას) და სახლში დარჩენილი ადამიანების მიერ ამ გამოცდილების იმ ფსევდოტიპიზაციას შორის, რომელსაც ისინი ამავდროულად მიაწერენ ფსევდორელევენტურობას. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლება, რათა აღდგეს ადრინდელი ურთიერთობები. დაბრუნებულის წარმატება ან წარუმეტებლობა დამოკიდებულია შანსზე გადააქციოს ის სოციალური ურთიერთობები განახლებადად. მაგრამ მაშინაც კი, თუკი მსგავსი ურთიერთობები არ პრევალირებს, ამ პრობლემის ამომწურავი გადაწყვეტა რჩება მიუღწეველ იდეალად.

რაც შეეხება შუტცის „უცხოს“ , იგი ნათელი მაგალითია იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში. იგი საუბრობს გაუცხოების ფენომენზე საკუთარი მშობლიური გარემოს მიმართ. „უცხო“ თავდაპირველად გარიყულია იმ გარემოდან, სადაც ცდილობს შესვლას. ის უცხო გარემოს არასრულფასოვანი წევრია, მან არ იცის ამ გარემოს ისტორია, თუმცა მისთვის პრიორიტეტი მისი მშობლიური ადათ-წესები, მისი წინაპრების ისტორიაა. უცხო გვერდზე მდგომი უყურებს მისთვის უჩვეულო „კულტურულ ხატს“, თუმცა იმისათვის, რომ კარგად შეიცნოს ის, ზუცილებელია ამ ჯგუფთან დაახლოება და მასში შეღწევა. ახლა მისთვის კულტურული ხატი აღარ წარმოადგენს იმ ცოდნას, რაც ჯგუფთან დასაახლოვებლად გამოადგება. მან ახალი ცოდნა უნდა შეიძინოს და ამ გადმოსახედიდან შეიცნოს ის გარემო, რომლის წევრიც ხდება. გარემოსთან დაახლოებული უცხოსთვის იმის აღმოჩენა, რომ ყველაფერი ისე

არაა, როგორც მას შორიდან წარმოედგინა. მის თავდაჯერებულობას ეჭვქვეშ აყენებს. ის საკუთარი აზროვნების სისწორეში აღარაა დარწმუნებული და ამ დროს გადააფასებს არა მარტო უცხო ჯგუფის შესახებ წარმოდგენებს, არამედ საკუთარი ჯგუფისადმი არსებულ ინტერპრეტაციების სქემასაც. (Schuetz, 1944)

„უცხოს“ ქვეშ გაგებულ უნდა იქნეს ჩვენი დროისა და ცივილიზაციის წარმომადგენელი ზრდასრული ინდივიდი, რომელსაც სურს მუდმივი თავშეკავებული დამოკიდებულების მიღწევა იმ ჯგუფისგან, რომელთანაც ის დაახლოებას ცდილობს. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამ შემთხვევით არ შემოიფარგლება. დახურულ კლუბში შესვლის მსურველები არიან მაგ: სასიძო, რომელსაც სურს მიღებულ იქნას გოგონას ოჯახში; ფერმერის ვაჟი, რომელიც აბარებს კოლეჯში; ქალაქის მკვიდრი, რომელიც საცხოვრებლად სოფელში გადადის; „ახალწვეული“, რომელიც არმიაში მიდის; თავდაცვით სფეროში მომუშავის ოჯახი, რომელიც გადადის მზარდი წარმოების ქალაქში - ეს პიროვნებები ზემოთ მოცემული განსაზღვრების მიხედვით წარმოადგენენ „უცხოებს“.

უცხო თავისი არსით ხდება ადამიანი, რომელსაც უწევს ეჭვქვეშ დააყენოს თითქმის ყველაფერი, რაც ეჭვგარეშედ მიაჩნიათ იმ ჯგუფის წევრებს, რომელთანაც ის დაახლოებულია. ის იმ ჯგუფის კულტურულ ხატს არ მიიჩნევს შემოწმებული რეცეპტების მქონე ავტორიტეტად. სხვა მიზეზებზე რომ არ ვისაუბროთ, მაინც აუცილებელია აღვნიშნოთ შემდეგი მიზეზი: მას არ მიუღია მონაწილეობა მათ ცოცხალ ისტორიულ ტრადიციებში, რომელმაც თავისთავად ჩამოაყალიბა ეს კულტურული ხატი. რა თქმა უნდა, უცხომ იცის, რომ ამ ჯგუფის კულტურას გააჩნია განსაკუთრებული ისტორია; უფრო მეტიც, ეს ისტორია მისთვის მიუღწეველია; მაგრამ არასოდეს არ გამხდარა მისი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილი, როგორიც იყო მაგალითად მისი მშობლიური ჯგუფის ისტორია. თითოეული ადამიანისთვის ცხოვრების წესის ელემენტებად იქცევა ის ადათ-წესები, რომლითაც ცხოვრობდნენ მისი წინაპრები.

საფლავები და მოგონებები შეუძლებელია, რომ ვერ გაითავისო და ვერ მოიპოვო. აქედან გამომდინარე, უცხო შედის სხვა ჯგუფში, როგორც ნეოფიტი, ამ სიტყვის სრული

მნიშვნელობით. საუკეთესო შემთხვევაში უნდა იყოს მზად და უნდა შეძლოს, რომ გაიზიაროს აწმყო და მომვალი. ახალ ჯგუფთან ერთად ცოცხალ და უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ის რჩება გარიყულად ერთობლივი წარსულის განცდისას. მისი ჯგუფის წევრების გადმოსახედიდან ის არის ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია ისტორია.

კულტურული ხატი მშობლიური ჯგუფისა, უცხოსთვის კვლავ უწყვეტი ისტორიული განვითარების რეზულტატად რჩება და წარმოადგენს მისი პიროვნული ბიოგრაფიის ელემენტს. ამიტომაც ეს ნიმუში, როგორიც იყო ისეთივე რჩება მისი „ფარდობითად ბუნებრივი მსოფლხედველობისთვის“, რომელიც არ ექვემდებრება თანაფარდობის სქემას. აქედან გამომდინარე, უცხო იწყებს ახალი სოციალური გარემოს ინტერპრეტირებას თავისი ჩვეული აზროვნების კატეგორიებში. თანაფარდობის სქემაში, რომელიც მშობლიური ჯგუფისგან მემკვიდრეობით იქნა გადმოცემული. ის პოულობს მზა და შესაძლოა სანდო წარმოდგენებს უცხო ჯგუფის ნიმუშზე, მაგრამ მოკლე დროში ეს წარმოდგენები აუცილებლად არაადეკვატურნი აღმოჩნდებიან.

პირველ რიგში, წარმოდგენა არამშობლიური ჯგუფის კულტურულ ხატზე, რომელიც უცხოს მიერ აღმოჩენილ იქნა მშობლიური ჯგუფის ინტერპრეტაციის სქემაში, გამომდინარეობს არადაინტერესებული დამკვირვებლის მიღებული მითითებებიდან. არამშობლიურ ჯგუფთან დაახლოებისას საჭიროა, რომ უცხო გადაიქცეს უსაქმურ, გვერდზე მდგომი დამკვირვებლისგან მის პოტენციურ წევრად. ამასთან, არამშობლიური ჯგუფის კულტურული ნიმუში აღარ წარმოადგენს მისი აზროვნების შინაარს და გადაიქცევა მსოფლიოს სეგმენტად, რომელიც უნდა შეიძინოს თავისი ქმედებებით. ნიმუშის ამ მდგომარეობით უცხოს რელევანტობის სისტემა გადამწყვეტად იცვლება და ეს ნიშნავს, რომ ახლა მას ამ ინტერპრეტაციისთვის სჭირდება სხვა ტიპის ცოდნა. სიმბოლურად, რომ ვთქვათ დარბაზიდან სცენაზე გამოსული, ყოფილი დამკვირვებელი ხდება წევრი, მოიპოვებს პარტნიორობის უფლებას და სხვა მოქმედ პრესონაჟებთან ამყარებს სოციალურ ერთიერთობას და ამის შემდეგ ხდება განვითარებული მოქმედების მონაწილე.

მეორეს მხრივ, ახალი კულტურული ხატი იღებს გარემოს ხასიათს. შორეულიდან იგი გადაიქცევა ახლობლად; მისი ანონიმური შემადგენლობა კი კონკრეტულ სოციალურ სიტუაციად გადაიქცევა; მისი არსებული ტიპოლოგიები ეცემიან. მოკლედ რომ ვთქვათ, უშუალო გარემოში მიმდინარე განცდა სოციალური ობიექტებისა განსხვავდება მათზე არსებული წარმოდგენებისგან, რომლებიც მათზე შეგვექმნა, როგორც ჩვენგან დაშორებულ ობიექტებზე; მას შემდეგ რაც გადავდივართ ბოლო ეტაპიდან პირველზე, ნებისმიერი გაგება, რომლის ფორმირებაც მოხდა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ დაშორებული იყო ჩვენგან, არაადაკვატური ხდება, რადგანაც იგი გაგებულ უნდა იქნას იმ დონეზე, რომელზეც იგი ახლა იმყოფება.

მესამეს მხრივ, სხვა ჯგუფის შესახებ გამეფებული წარმოდგენა, რომელიც არსებობს უცხოს ჯგუფში, ხდება არაადაკვატური მას შემდეგ, რაც მათ უცხო უახლოვდება. მისი მარტივი მიზეზი ისაა, რომ ჯგუფის შექმნის მიზანი არ ყოფილა მასზე რაიმე წარმოდგენის შექმნა თუ რეაქციის გამოწვევა სხვა ჯგუფებში. მათ მიერ შემოთავაზებული ცოდნა ემსახურება მხოლოდ იმ მიზანს, რომ იყოს ინტერპრეტაციისთვის განკუთვნილი სქემა უცხო ჯგუფისთვის და არავითარ შემთხვევაში იგი არაა სახელმძღვანელო ამ ორ ჯგუფს შორის ურთიერთობისთვის. მისი დამაჯერებლობა გამოწვეულია შეთანხმებით, რომელიც არსებობს არსებულ ჯგუფის წევრთა შორის და რომელიც მიზნად არ ისახავს სოციალური ურთიერთობა დაამყაროს უცხო ჯგუფის წევრებთან. (ისინი, ვისაც ამის სურვილი აქვთ ავტომატურად ხვდებიან უცხო ჯგუფის წარმომადგენელთა მსგავსნი.)

აქედან გამომდინარე, ეს ინტერპრეტაციისთვის სქემა ეხება უცხო ჯგუფის წევრებს, მხოლოდ როგორც ინტერპრეტაციისთვის ობიექტებს და არა როგორც შესაძლო აქტების ადრესატებს, რომელნიც მოცემული ინტერპრეტაციული პროცედურების რეზულტატებიდან გამომდინარეობენ, მაგრამ არა როგორც სუბიექტის წინასწარ აღფრთოვანებული რეაქცია ამ აქტზე. ამიტომ, მსგავსი ცოდნა ყოველთვის საკუთარ თავშია ჩაკეტილი; შეუძლებელია მისი ვერიფიცირება ან ფალსიფიცირება სხვა ჯგუფის წევრთა რეაქციებით. სწორედ ამიტომ, ამ სარკისებური ეფექტის გამო, მრავალი თვლის, რომ ეს ცოდნა არის უპასუხისმგებლო და მიუღებელი, რომლის ბოლომდე წვდომაც

შეუძლებელია. და აი, უცხო უახლოვდება სხვა ჯგუფს და აცნობიერებს ფაქტს, რომ მისი წარმოდგენები ამ ჯგუფის, მისი კულტურული ხატისა და ცხოვრების სტილის შესახებ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სოციალურ ურთიერთობებზე ვერ უძლებს გამოცდას.

იმის აღმოჩენა უცხოსთვის, რომ ახალ გარემოში ყველაფერი სულ სხვაგვარადაა, ვიდრე მას შორიდან წარმოედგინა, პირველ დარტყმას აყენებს უცხოს თავდაჯერებულობას საკუთარი აზროვნების სისწორეში. ასეთ დროს გადაფასება ხდება არა მარტო უცხო ჯგუფის შესახებ არსებული წარმოდგენებისა, არამედ იმ ინტერპრეტაციათა სქემისაც, რომელიც მის ჯგუფს გააჩნდა. ახალ სოციალურ გარემოში შეუძლებელი ხდება მათი გამოყენება, როგორც ორიენტაციის სქემისა. მსგავს ფუნქციას იმ ჯგუფის წევრებისთვის, რომელსაც იგი უახლოვდება, ასრულებს მათი კულტურული იერსახე. თუმცა, უცხოს რამდენიმე მიზეზის გამო არ შეუძლია გამოიყენოს ისინი არსებული სახით დ მოახდინოს მათი შერწყმა თავის ორიენტაციის სქემებთან:

ამასობაში კი, არამშობლიურ ჯგუფთან ნელ-ნელა დაახლოების პროცესში მყოფ უცხოს ამ ჯგუფში არსებული ხატი არ აძლევს წარმატების ობიექტური შანსის გარანტიას, არამედ უზრუნველყოფს წმინდა სუბიექტურ ალბათობას, რომელიც აუცილებელია ნაბიჯ-ნაბიჯ გადამოწმდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც შემოთავაზებულია ახალი სქემის მიერ, ნამდვილად მოუტანენ სასურველ შედეგს მას, რომელიც იმყოფება აუტსაიდერისა და ნეოფიტის განსაკუთრებულ როლში. ჯერ კიდევ სრულად რომ არ აუთვისებია მთელი სისტემა კულტურული ნიმუშისა და ჯერ კიდევ შეცბუნებულია ამ სისტემის შინაგანი წინააღმდეგობრივი ხასიათით, გაუგებრობით და არასაკმარისი სიცხადით. პირველ რიგში, მან უნდა, უ.ა. ტომასის გამოთქმით, განსაზღვროს სიტუაცია. როგორც ჩანს, მას არ შეუძლია, რომ შემოიფარგლოს ახალი ნიმუშის მიახლოებული გაცნობით, ენდოს თავის ბუნდოვან ცოდნას კულტურული ნიმუშის სტილისად სტრუქტურის შესახებ. ის საჭიროებს მისი ელემენტების ექსპლიციტურ ცოდნას; მას უნდა გაარკვიოს არა მარტო მათი „რა“ კომპონენტი, არამედ „რატომ“ კომპონენტიც. შესაბამისად, გარდაუვალია ის, რომ მისი კონტურული რელევანტურობის ხაზები იქნება რადიკალურად

განსხვავებული ჩვენ-ჯგუფის რელევანტურობის კონტურებისგან - სიტუაციასთან, რეცეპტებთან, საშუალებებთან, მიზნებთან, სოციალურ პარტნირებთან და ა.შ. მიმართებაში.

თუკი გავითვალისწინებთ ზემოთ ხსენებულ კავშირს, ერთის მხრივ, რელევანტურობასთან და მეორეს მხრივ, ტიპიურობასთან და ანონიმურობასთან მიმართებაში, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ უცხო სარგებლობს ანონიმურობისა და ტიპიურობის სხვა საზომით, ვიდრე ჩვენ-ჯგუფის წევრები.

უცხოსთვის დასაკვირვებელი მოქმედი პირები, რომლებიც ეკუთვნიან არამშობლიურ ჯგუფს - მარტო ტიპიური ფუნქციების შემსრულებლები კი არ არიან, რომლებიც მისთვის კონკრეტულ ანონიმურობას ფლობენ, არამედ ისინი არიან მისთვის ინდივიდები. ამის გამო ის მიდრეკილია, რომ აღიქვას ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორც ტიპიური და ის აკონსტრუირებს ფსევდოანონიმურ, ფსევდოახლობელ და ფსევდოტიპიურ სოციალურ სამყაროს და სწორედ ამის გამო, მას არ შეუძლია თავის თავში კონსტრუირებული პიროვნული ტიპები შინაგანად დაუკავშიროს უცხო ჯგუფის გარეგნულ სურათს და არ შეუძლია დაეყრდნოს თავის მოლოდინებს ჩვენ-ჯგუფის წევრების რეაქციებთან მიმართებაში. მეტიც, მას ნაკლებად შესწევს იმის უნარი, რომ მიიღოს ის ტიპიური და ანონიმური განწყობები, რომლებიც როგორც წესი, მოსალოდნელია ტიპიურ სიტუაციაში ჩვენ-ჯგუფში. აქედან გამომდინარე, უცხოს არ გააჩნია დისტანციის შეგრძნება. ის მერყეობს დაშორებასა და ინტიმურობას შორის; მისი ეჭვიანობა და გაუბედაობა, აგრეთვე მისი უნდობლობა ყველაფრის მიმართ, აბსოლუტურად უბრალო და ჩვეულებრივ, არასიღრმისეულ მოვლენად ესახებათ მათ, ვინც მთლიანად ეყრდნობა არაპრობლემატური რეცეპტების ქმედითუნარიანობას და ისე მისდევს მათ, რომ თვითონაც არ ესმის მათი მნიშვნელობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არამშობლიური ჯგუფის კულტურული სახე უცხოსთვის წარმოადგენს არა მყუდრო თავშესაფარს, არამედ „თავგადასავლების ველს“; არა თავისთავად ცხად მოცემულობას, არამედ კვლევის პრობლემატურ თემას; პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტის ინსტრუმენტს კი არა, არამედ სწორედ ამ პრობლემატურ სიტუაციას, რომელთან გამკლავებაც მისთვის არც ისე იოლია.

ეს ფაქტები იძლევა საშუალებას, რომ აიხსნას უცხოს განწყობის ორი ძირითადი თავისებურება, რომელთაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თითქმის ყველა სოციოლოგი, რომლებიც ამ თემაზე მუშაობდნენ. ეს არის (1) უცხოს ობიექტურობა და (2) მისი საეჭვო ლოიალურობა.

(1) უცხოს ობიექტურობა ამომწურავად ვერ აიხსნება მის კრიტიკული განწყობით. ცხადია, მას არ ბოჭავს მორჩილება „ტომის ბელადების“ მიმართ და ის ცოცხლად შეიგრძნობს უცხო კულტურული მოდელის შინაგან წინააღმდეგობრიობას და ფრაგმენტულობას. უნდა ითქვას, რომ ამ განწყობის წყაროდ გვევლინება არა იმდენად მიდეკილება იმისკენ, რომ განსაჯოს ახალი ჯგუფი, (რაც გამომდინარეობს მშობლიური სტანდარტებიდან) არამედ გვევლინება მისი ელემენტის შესახებ. აგრეთვე, მისი სურვილია საფუძვლიანად იკვლიოს ყველაფერი ის, რაც ჩვენ-ჯგუფისთვის თავისთავად ცხადია. უცხოს ობიექტურობის უფრო ღრმა მიზეზი იმალება „ჩვეული აზროვნების“ სივიწროვისა და შეზღუდულობის მძაფრ შეგრძნებაში. ეს მისთვის არის ერთვარი გამოცდილება, რომ ადამიანმა შეიძლება დაკარგოს სტატუსი, საკუთარი სასიცოცხლო ორიენტირები და თვით საკუთარი ისტორიაც კი, და რომ ცხოვრების ნორმალური წესი, ყოველთვის გაცილებით ურყევია, ვიდრე მას ჰგონია. ამიტომ უცხო - ხშირად თანამგრძნობელი გამჭრიახობით ამჩნევს იმ კრიზისის მომწიფებას, რომელსაც შეუძლია შეარყიოს „ფარდობითად ბუნებრივი მსოფლმხედველობის“ ძირითადი საყრდენი. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სიმპტომი შეუმჩნეველი რჩება ჩვენ-ჯგუფის წევრებისთვის, რომლებიც ეყრდნობიან საკუთარი ჩვეული ცხოვრების წესის ურყევობას.

(2) უცხოს საეჭვო ლოიალურობა, სამწუხაროდ , ხშირად არის გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მისთვის უცხო ჯგუფის ცრურწმენა. ეს განსაკუთრებით სარწმუნოა იმ შემთხვევაში, როდესაც უცხო მზად არ არის ან მას არ ძალუძს, მშობლიური ჯგუფის კულტურული ხატი ჩაანაცვლოს ახალი ხატით. ამ შემთხვევაში უცხო რჩება იმად, რასაც პარკმა და სტოუნკვისტმა გონებამახვილურად დაარქვეს „მარგინალური ადამიანი“, ე.ი. ის არის კულტურული ჰიბრიდი, რომელიც აღმოჩნდა ორი განსხვავებული კულტურული მოდელის გასაყარზე და არ იცის თუ რომელი მათგანს მიეკუთვნება.

უნდა ითქვას რომ ძალიან ხშირად გაისმის საყვედურები საეჭვო ლოიალობის მიმართ. ეს საყვედურები მომდინარეობს ჩვენ-ჯგუფის წევრთა გაკვირვებიდან იმის გამო, რომ უცხო არ ღებულობს კულტურულ მოდელს მთლიანად, როგორც ყველაზე ბუნებრივ და მართებულ ცხოვრების წესს, როგორც ყველა შესაძლო პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტს. ამ უცხოს საყვედურობენ უმადურობის გამო, რამდენადაც ის უარყოფს იმას, რომ ეს კუტურული მოდელი ჩუქნის მას თავშესაფარს და დაცვას. უნდა ითქვას, რომ არ ესმით, რომ უცხო რომელიც იმყოფება გარდამავალ მდგომარეობაში, საერთოდ არ აღიქვამს ამ მოდელს, როგორც თავშესაფარს და დაცვის საშუალებას. მისთვის ეს ლაბირინთია, რომელშიც მან ყოველგვარი ორიენტაციის უნარი დაკარგა. (Schuetz, 1944)

შუტცის „უცხოს“ გარდა, საინტერესოა, თუ რა მნიშვნელობას აძლევს და როგორ განმარტავს ზიგმუნდ ბაუმანი „უცხოს“ ფენომენს.

ბაუმანი ამტკიცებს, რომ არსებობს საზოგადოებად ქცევის (Vergesellschaftung) მხოლოდ ორი ფორმა: მეგობრობა და მტრობა, რომლებიც გასაზოგადოების ყველა დანარჩენი ფორმის მატრიცას ქმნის. ამ მოდელს უცხო არღვევს (რადგანაც ბინარული ოპოზიციის გარეთ რჩება) და თავად გასაზოგადოების შესაძლებლობას სათუოს ხდის, რადგანაც ძირს უთხრის ოპოზიციას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების და ყველა განსხვავების, რომელიც მას აერთიანებს, საფუძველს წარმოადგენს. უცხოს მთავარი “ცოდვა” მის და სხვათა ყოფნას (presence) შორის შეუსაბამობაა (ეს შესაბამისობა კი, ბაუმანის აზრით, სამყაროს წესრიგისათვის ფუნდამენტალურია). ამიტომაც, მოდერნულობის ისტორიის განმავლობაში “უცხო” შეუსაბამობის (incongruence) განსახიერებაა და სწორედ ამიტომ, მოდერნულობის სასიკვდილო საწამლავს წარმოადგენს. თუ დერიდასთვის უცხო ძირითადად ჰერმენევტიკულ პრობლემას წარმოადგენს, ბაუმანი მის სოციალურ იმპლიკაციებზე საუბრობს (კოგნიტური სიცხადე ქცევის უსაფრთხოების (Verhaltenssicherheit) ინტელექტუალური ეკვივალენტია). (Z. Bauman, 1991)

როგორია მოდერნულობის რეაქცია “უცხოზე” ? ისევე, როგორც სხვა თვითშენარჩუნებაზე ორიენტირებული სოციალური ჯგუფები, ეროვნული

სახელმწიფოებიც მტრის და მოყვარის კომუნიტარიზაციას ახდენენ, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, ბაუმანის აზრით, დამატებით ფუნქციას: “უცხოს” ელიმინირებას იძენენ. ბაუმანისათვის ეროვნული სახელმწიფო “მეგობრობის რელიგიაა” და ამიტომაც უნიფორმულობისაკენ მიისწრაფვის. ოღონდ, განსხვავებით სხვა ტიპის სოციალური ჯგუფებისაგან, ეროვნული სახელმწიფოს მეგობრობის “ძალით” დამყარება უწევს იქ, სადაც ის ბუნებრივად არ არის მოცემული და შესაბამისად, ბუნებრივის ხელოვნურ შესწორებას საჭიროებს. ეროვნულ სახელმწიფოში მეგობრობის კომუნიტარიზაცია ინდოქტრინაციის და ძალის, წარმოსახვით ერთობაში მობილიზაციის მეშვეობით ხდება. ეროვნული სახელმწიფო უფლებებს, რომლებიც “მხოლოდ მეგობრებისთვის” არის განკუთვნილი, განავრცობს იმ ტერიტორიის მოსახლეობაზე, რომელსაც ის განაგებს და პირიქით, მოქალაქეობის უფლებას გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი “მეგობრული უფლებების” განვრცობა მიზანშეწონილად მიაჩნია.

ბაუმანის აზრით, სწორედ აქედან გამომდინარეობს კავშირი ნაციონალიზმს და სახელმწიფოს შორის და სწორედ ამიტომ, მოდერნულობის ისტორიის განმავლობაში, ნაციონალიზმი სახელმწიფოს გარეშე ისევე არასრულყოფილი და უძლური იყო, როგორც სახელმწიფო ნაციონალიზმის გარეშე. რადგანაც ეროვნული სახელმწიფო “ნატივიზმს” მოითხოვს (მკვიდრი მოსახლეობის უპირატესობა), ნაციონალური სახელმწიფოს სტრატეგია ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და კულტურული ჰომოგენურობისაკენ არის მიმართული. აქედან გამომდინარე, ბაუმანი ფიქრობს, რომ ეროვნული სახელმწიფოს ძირითადი ამბიცია “უცხოს” (და არა მტრის) პრობლემის გადაჭრაა.

ეროვნულ სახელმწიფოს დასახული მიზნების განხორციელება რომ შეძლებოდა, მკვიდრებად გადაქცეული მოსახლეობის სამყაროში (რომლებსაც თავის მხრივ პატრიოტებად გარდაქმნიდნენ), უცხოები არ იარსებებდნენ. როგორია შესაძლო რეაქციები “უცხოს” არსებობაზე? ბაუმანის აზრით, რადიკალური რეაქცია „უცხოს მიმართ (რომელსაც აბსოლუტური თვალსაზრისით სამშობლო არ გააჩნია) გენოციდია , თუ უცხოს განადგურება შეუძლებელი ან მოუხერხებელია, მისი მარგინალიზაცია ხდება. ამ მარგინალიზაციის ტერიტორიული გამოხატულება სხვადასხვა ტიპის

რეზერვაციები და გეტოებია. ამავე მარგინალიზაციის ფორმა “უცხოს” დისკრედიტაცია, მისი სტიგმატიზაციაა (ხილული თვალსაჩინო იოლად ამოცნობადი თვისებების გადაქცევა შეფარული, საშინელი და სახიფათო თვისებების ნიშნად). (Z. Bauman, 1991)

სტიგმატიზაცია, როგორც სოციალური პრაქტიკა, ერთის მხრივ მოდერნულობის გამოწვევებს ეწინააღმდეგება, მაგრამ მეორეს მხრივ, თვითკონსტიტუირების პრინციპი, თუკი მის ლოგიკურ შედეგებს ბოლომდე მივყვებით, ეროვნული სახელმწიფოს დიფერენციალურ უფლებამოსილებასთან მოდის კონფლიქტში. ამიტომაც, მოდერნულობაში წინააღმდეგობაა ჩადებული, ისე რომ მოდერნულობის ორივე მოთხოვნილების ერთდროულად განხორციელება ნაკლებადაა შესაძლებელი. ამ წინააღმდეგობას ლიბერალური პროექტი ასიმილაციისაკენ მოწოდებით პასუხობს, თუმცა ბაუმანი აჩვენებს, რომ კულტურული ასიმილაცია საზოგადოების იმ ფენის დომინანტობას ადასტურებს, რომლისგანაც ასიმილიციისაკენ მოწოდება მომდინარეობდა და უცხოს არასრულფასოვნების, არასასურველობის და მისი უადგილობის ხელახალ დადასტურებას ნიშნავს.

საბოლოო ჯამში ის, რასაც კულტურულად უცხოს სთხოვენ, თვითგაუმჯობესებაა , ეს კი საკუთარი (და საკუთარი წინაპრების) წარმომავლობის უარყოფას ნიშნავს. მაგრამ უცხოს არ შეუძლია შეწყვიტოს იყოს უცხო, რადგანაც მაშინაც კი, როდესაც ადგილობრივი კულტურის ათვისება ინდივიდუალურ კულტურას ატარებს, კულტურული უცხოობის წარმოქმნა ადგილობრივების მიერ ყოველთვის კოლექტიურია: ადგილობრივისათვის ყველა უცხო ერთნაირია, ამიტომაც მისი ინდივიდუალობა უცხოთა ჯგუფში ითქვიფება. ამ ჯგუფის რეპროდუქცია გამუდმებით ხდება, ამიტომაც ის არასოდეს წყვეტს არსებობას. თვითგაუმჯობესების პროგრამის ინჰერენტული შეუძლებლობა აღიქმება, როგორც თვითგაუმჯობესების ნების არქონა. (Z. Bauman, 1991)

განვიხილოთ კიდევ ერთი მოაზროვნის, ზიმელის განაზრევი „უცხოს“ შესახებ.

ზიმელის მიხედვით უცხო – სოციოლოგიურად დანახული, არის ყოველთვის რაიმე ჯგუფის წევრი, რომელშიც ის თვალშისაცემია, თუმცა აქვს განსაკუთრებული

მდგომარეობა. ამიტომ ჩანს ის უცნაური. ის ერთდროულად ახლობელიცაა და შორეულიც, ეს მის სტატუსს განსაკუთრებულ ობიექტურობას სძენს, ამიტომ ხშირად ანდობენ მას საიდუმლოებებს, ნიშნავენ მსაჯად და ა.შ. მაგრამ ეს ობიექტურობა მას საეჭვოსაც ხდის. ზიმელთან უცხო/უცნობი დაკავშირებულია სივრცის კატეგორიასთან, უცხო არ არის მოხეტიალე. ის დაბადებიდანვე კი არ ეკუთვნის რომელიმე სოციალურ ჯგუფს, არამედ სხვაგვარად გაიარა სოციალიზაცია და შესაძლოა სრულიად განსხვავებულ სოციო–კულტურულ გარემოცვაში გაიზარდა. „თუ ხეტიალი, როგორც განცალკევება ნებისმიერ მომენტში ფიქსირებულობის ცნებური ანტონიმია,

სოციოლოგიური ფორმა უცხოსი / უცნობის/უცნაურის მეტნაკლებად ორივე განსაზღვრების ერთიანობას ასახავს. (G. Simmel , 1908)

ცხადია, რომ მიმართება სივრცესთან მხოლოდ ერთის მხრივ პირობა, მეორე მხრივ ადამიანებთან მიმართების სიმბოლოა, ანუ აქ უცხო აქამდე ბევრჯერ განხილული აზრით არაა ნაგულისხმევი. არა როგორც მოხეტიალე, რომელიც დღეს მოდის და ხვალ მიდის, არამედ ისეთი, რომელიც დღეს მოდის და ხვალ რჩება-პოტენციურად მოხეტიალე. ასე რომ ვთქვათ, რომელმაც წინ ვეღარ გაიწია, მაგრამ ვერც წასვლა-მოსვლას შეეშვა მთლიანად. იგი ფიქსირებულია რაღაც გარკვეული სივრცითი შემოგარენის შიგნით, ან ისეთის შიგნით, რომლის საზღვრები სივრცითის ანალოგია, მაგრამ მისი პოზიცია მასში იმითაა არსებითად განსაზღვრული, რომ ის მას წინასწარ, იმთავითვე არ მიეკუთვნება, რომ მას თვისებები, რომლებიც მისგან არ მოდიან და არ შეიძლება მოდიოდნენ, მასში შეაქვს.

სიახლოვისა და სიშორის ერთიანობა, რომელიც ნებისმიერ მიმართებას ადამიანებს შორის შეიცავს, აქ დაიყვანება შემდეგ კონსტელაციაზე, რომელიც ყველაზე მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: დისტანცია მიმართებებს შორის ნიშნავს, რომ ახლოსგან შორსაა, მაგრამ უცხოობა/უცნაურობა სიშორესთან ახლოსაა. რადგან უცხოობა არის, ბუნებრივია, სრულიად პოზიტიური ურთიერთობა, ურთიერთზემოქმედების განსაკუთრებული ფორმა. სირიუსის მაცხოვრებელნი ჩვენთვის უცხონი კი არ არიან, ამ სიტყვის არა სოციოლოგიური მნიშვნელობით, არამედ ისინი საერთოდ არ არსებობენ ჩვენთვის, ისინი დგანან ახლოსა და შორის იქითა

მხარეს. უცხო ჯგუფის ელემენტია, სხვანაირი არა როგორც ღარიბები ან ურიცხვი “შიდა მტრები”, ელემენტი, რომლის იმანენტი და ორგანიზმიც ერთდროულად გარეს და საპირისპიროს მოიცავს.

უცხო თავისი ბუნების მიხედვით არ არის მკვიდრი მიწისმფლობელი, სადაც მიწა არა მხოლოდ ფიზიკური მნიშვნელობითაა ნახმარი, არამედ გადატანილია ცხოვრების სუბსტანციაში, რომელიც არა სივრცით, არამედ საზოგადოების იდეალურ ადგილას არის დაფიქსირებული. უცხოს შეუძლია ინტიმურ ურთიერთობებში პიროვნებიდან პიროვნებამდე ყველა მიმზიდველობა მიიღოს, მაგრამ ის არსად არის, რამდენადაც ის უცხოდ აღიქმება. (G. Simmel , 1908)

კვლევის შედეგები

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა თემაზე: სახლის გაგება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა თაობაში. ჩვენი რესპონდენტები იყვნენ სამი განსხვავებული თაობის წარმომადგენლები: ისინი, ვისაც ახსოვთ აფხაზეთში გატარებული ცხოვრების პერიოდი, რომელსაც მიეკუთვნებიან მშობლები და ბებია-ბაბუები და ასევე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, რომლებიც დაიბადნენ თბილისში და შესაბამისად, არ ახსოვთ აფხაზეთი.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ფაქტორები. ვიკვლიეთ, თუ რა სენტიმენტებს განიცდიან იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთში დატოვებული სახლისა და აგრეთვე, ამჟამინდელი საცხოვრებლის მიმართ. გავარკვიეთ, რას ნიშნავს „ნამდვილი“ სახლის განცდა რესპონდენტების სამივე თაობაში - როგორც ახალგაზრდა, თბილისში დაბადებულ, ასევე მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობის წარმომადგენლებში, რომლებსაც მკაფიოდ ახსოვთ აფხაზეთში გატარებული დროის პერიოდი. აგრეთვე, შევადარეთ აღნიშნული ორი სახლის მიმართ არსებული რესპონდენტთა სენტიმენტები. კვლევის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა რესპონდენტების აფხაზეთში დაბრუნების სურვილისა და მასთან დაკავშირებული სირთულეების გამოვლენა.

კვლევის ანგარიშის პირველი ნაწილი წარმოადგენს სახლის გაგებასთან დაკავშირებულ იმ ტენდენციებს, რაც სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში, სამივე თაობის წარმომადგენელთა მიერ, სახლის გაგებასთან დაკავშირებულ სენტიმენტებს, განცდებსა და დამოკიდებულებებს აღწერს. კვლევის ანგარიშის მეორე ნაწილი ეთმობა აღნიშნული სამი თაობის წარმომადგენლების შეხედულებების, დამოკიდებულებებისა თუ სენტიმენტების შედარებას. ვფიქრობთ, რომ კვლევამ მეტად საინტერესო შედეგები გამოავლინა, რომელსაც დაწვრილებით წარმოგიდგენთ.

ყოველდღიური ცხოვრება აფხაზეთში

სანამ უშუალოდ დამოკიდებულებების შესახებ ვისაუბრებდეთ, რაც მეტად სენსიტიური თემაა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, თავდაპირველად რესპონდენტებს იმ თაობას, რომელსაც ახსოვს აფხაზეთი, ვთხოვეთ, აღეწერათ თავიანთი ყოველდღიურობა ომამდე. ხოლო იმ თაობამ კი, რომლის წარმომადგენლებიც დაიბადნენ თბილისში, ისაუბრეს გადმოცემით გაგებული და წარმოსახვაში არსებული აფხაზეთის შესახებ: თუ როგორ ცხოვრობდნენ, როგორ პირობებში, როგორი სახლი, სამეზობლო და სოციალური ურთიერთობები ჰქონდათ. მიუხედავად საკითხის სენსიტიურობისა, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა სიამოვნებით გაიხსენეს და დაწვრილებით მოგვიყვნენ მეხსიერებაში დარჩენილი აფხაზეთში გატარებული ცხოვრების შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ყველა მათგანი პოზიტიურად ახასიათებს აფხაზეთში გატარებული დროის პერიოდს. ჰქონდათ კეთილმოწყობილი სახლები და საბინაო პირობები. აგრეთვე, დადებითად აფასებენ თავიანთ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. აფხაზეთში ცხოვრების პერიოდში ჩვენი რესპონდენტების ყოველდღიური ცხოვრება მეტად მრავალფეროვანი იყო. ისინი დასაქმებულები იყვნენ სხვადასხვა სახის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში. გარდა ამისა, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოფლის მეურნეობაში, რომელიც მათთვის დამატებით შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.

რესპონდენტები განსაკუთრებულად იხსენებენ თავიანთ ჰარმონიულ სოციალურ კავშირებს. მათ ისაუბრეს მჭიდრო სამეზობლოსა და ადამიანური ურთიერთობების შესახებ, რომლებიც არსებობდა აფხაზეთში იმ დროისათვის, რაც ადამიანებს ერთიანობისა და სიმშვიდის განცდას უქმნიდა. რესპონდენტებმა აგრეთვე, ხაზი გაუსვეს, აფხაზეთის, კერძოდ კი, სოხუმის სილამაზეს, მის გამორჩეულობასა და განსაკუთრებულ რესურსებს.

„აფხაზეთში უმეტესობა კარგად ცხოვრობდა, სამუშაოც იყო, სოფლის მეურნეობა იყო, რავიცი ყველაფერი. მამაჩემი კარგ თანამდებობაზე მუშაობდა იქ და მართლა კარგად ვცხოვრობდით.“ (ნანა, 42 წლის.)

„მეზობლობა გვქონდა გადასარევი. ღამე კოცონთან დავსხდებოდით ხოლმე და მოხუცები იხსენებდნენ თავიანთ ამბებს, ზოგი ჯარის, ზოგი ახალგაზრდობის. ყველა გულახდილად საუბრობდა თავის პრობლემებზე.“ (კონსტანტინე, 54 წლის)

ამის შემდეგ, მათ ავტომატურად გაიხსენეს უშუალოდ ომის პროცესები. საკმაოდ ემოციურად გვიამბეს ის ფაქტები, რომელთა უშუალო მონაწილეები და თვითმხილველები თავად გახდნენ. აგრეთვე ის, თუ როგორ გადმოვიდნენ საზღვარზე, როგორ მოუკლეს შვილები და როგორ გადარჩნენ თვითონ. ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ მას და მის დას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ყოველ ღამით ესიზმრებოდათ, რომ ვიღაც მოსაკლავად მოსდევდათ.

„ძალიან კარგად და ბედნიერად ვცხოვრობდით სოხუმში. სახლი მქონდა, კარი მქონდა, ჩვენი საკუთარი, ვმუშაობდით, მეც და ჩემი ქმარიც. პატარა ლამაზი ქალაქია სოხუმი , არაფერთან შედარება არ შეიძლება ის ისეთი ლამაზი იყო, სანამ არ ააოხრებდნენ. მარტო ჩვენ კი არა, ყველა ბედნიერად ცხოვრობდა მაშინ, ერთმანეთის გატანა იყო, დახმარება, ახლობლობა,მეზობლობა“ (ნინო, 45 წლის)

„უმშვენიერესი ცხოვრება იყო, ყველანაირად უზრუნველყოფილი, ყველაფერი კარგად იყო, სანამ ომი დაიწყებოდა. დიდ სახლში ვცხოვრობდით დიდი ოჯახი, ყველანაირად უზრუნველყოფილები. სოხუმი არის ულამაზესი კუთხე, ხალხი თბილი და გულღია, მათ იცოდნენ ადამიანური ურთიერთობები.“ (ქეთინო, 67 წლის)

არანაკლები სენტიმენტებით გამოირჩეოდნენ ის რესპონდენტები, რომლებმაც აფხაზეთში მხოლოდ ბავშვობა გაატარეს და ახლა მასთან ბავშვობის დღეები და ფრაგმენტებად დარჩენილი მოგონებები აკავშირებთ. ისინი იხსენებდნენ აღნიშნულ პერიოდს და ამბობდნენ, რომ თავიანთ შვილებთან შედარებით, მათ გაცილებით უკეთესი ბავშვობა ჰქონდათ.

„პატარა ვიყავი მაშინ, მაგრამ მეხსიერებაში კარგად მაქვს ჩაბეჭდილი საუკეთესო მოგონებები და ეს არასოდეს არ წაიშლება. ბავშვი ვიყავი, ძალიან ლაღი და ბედნიერი, ვცხოვრობდით ულამაზეს კუთხეში.“ (სალომე, 33 წლის)

„არაჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ისეთი მხოლოდ ზღაპრებში თუ გექნებათ ნანახი. გული მწყდება, რომ ჩემს შვილს მსგავსი პირობები ვერ შევუქმენი, იმ ულამაზეს მხარეში ვერ გავზარდე.“ (ლანა, 35 წლის)

იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთში თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით კმაყოფილები იყვნენ. ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ თბილისურ ცხოვრებასთან შედარებით, აფხაზეთში გატარებულმა წლებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მათ მეხსიერებაში, რომელიც არასოდეს წაიშლება. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ერთი შეხედვით, თბილისშიც ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ ბედნიერები იყვნენ. კეთილმოწყობილ სახლში ცხოვრობენ, აქვთ საკუთარი საქმე, ჰყავთ შვილები და შვილიშვილები, მაგრამ აკლიათ ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი-„სახლში“ ყოფნის შეგრძნება, რომელიც ვერ ჩამოუყალიბდათ მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგაც კი თბილისში.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე რესპონდენტის ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო მაღალი სოციალური სტატუსი იმ ჯგუფებში, რომლებსაც მიეკუთვნებოდა. აღნიშნული სტატუსი და ურთიერთობები მათ სახლის დაკარგვასთან ერთად დაკარგეს, რაც საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა.

„იქ ყველა მიცნობდა, პატივსაცემი კაცი ვიყავი, გავლენა მქონდა და მთელი ქალაქი პატივს მცემდა, სახლ-კარის დაკარგვასთან ერთად, უცებ ეს ყველაფერიც დავკარგე. აქ არავინ მიცნობს, არავის ვჭირდები და არავინ არ ვარ აქ.“ (კობა, 71 წლის)

საინტერესოა, იმ რესპონდენტების აზრი გადმოცემით გაგებული აფხაზეთის შესახებ, რომლებსაც მხოლოდ სმენიათ მასზე და თითოეულ მათგანს საკუთარი ფანტაზიის უნარის დახმარებით აქვს წარმოდგენა შექმნილი აფხაზეთში დატოვებული სახლისა და ზოგადად აფხაზეთის ცხოვრების მიმართ.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ისინი უაღრესად პატივისცემით ეპყრობიან მშობლების მიერ იძულებით დატოვებულ სახლებს და ცდილობენ მათგან მაქსიმალურად ვრცელი ინფორმაციის მიღებას. პასუხებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ ისინი თავიანთი მშობლებისა და ბებია-ბაბუების მიერ, საკმაოდ

ინფორმირებულები არიან აფხაზეთის ცხოვრების შესახებ და სწორედ უფროსი თაობის დადებითი დამოკიდებულების გამო დაინტერესდნენ მისით და გაუჩნდათ მონახულების სურვილი, მიუხედავად იმისა, რომ იქ ფეხი არ დაუდგამთ.

რესპონდენტებმა გვიამბეს გადმოცემით გაგებული აფხაზეთისა და მათ წარმოსახვაში არსებული იქაური ცხოვრების შესახებ. ახალგაზრდების მიერ დახასიათებული აფხაზეთი იდენტურია იმ რესპონდენტების ნაამბობისა, რომლებსაც უცხოვრიათ სოხუმში და კარგად ახსოვთ იქაურობა, მათ ხომ უფროსებისგან აქვთ ინფორმაცია მიღებული და სწორედ მათ ნარატივებს აჟღერებენ. ახალგაზრდებს დადებითი წარმოდგენა აქვთ აფხაზეთში არსებულ ცხოვრების წესზე, სოციალურ ურთიერთობებზე, მხარის ეკონომიკურ და დასაქმების მდგომარეობაზე. თუმცა, უფროსებისგან განსხვავებით, მათ მეხსიერებაში არის მოვლენების წყება, როგორც ისტორიული ფაქტების და მოგონებების ერთობლიობა, ნაკლები ემოციური ბმით კონკრეტულ ადამიანებთან და ადგილებთან.

„ვიცი,რომ აფხაზეთი ულამაზესი კუთხეა, სოხუმი ძალიან კეთილშობილი ქალაქი იყო, მშვენიერი ცხოვრება სუფევდა იქ ომამდე, მუშაობდნენ ჩემი ოჯახის წევრები, დიდი და ლამაზი სახლი ჰქონდათ, ვიცი, რომ იყო კარგი სამეზობლო, თითქმის ერთი ოჯახივით იყვნენ.“ (ირინა, 23 წლის)

„ყველა კმაყოფილებით საუბრობს ხოლმე იქაურ ცხოვრებაზე, ფულიც ქონდათ, შრომობდნენ, სამსახურები და განათლება ქონდათ. აგრეთვე თანამდებობაც, ყველას ის ქონდა, რაც უნდოდათ. სახლი ძალიან კარგ მდგომარეობაში გვქონდა, როგორც ამბობენ, მოვლილი ეზო, თავისი ხეხილით და მოკლედ, ერთი სიტყვით კარგად ცხოვრობდნენ ჩემები იქ.“ (გიორგი, 19 წლის)

„ბებიაჩემის დებს აქვთ წერილები დატოვებული, ძალიან მაგარი რაღაცეები წერია სოხუმზე. სწორედ დედაჩემისა და ბებიების დამსახურებაა ის, რომ მე დღეს ამდენი კარგი ინფორმაცია მაქვს აფხაზეთზე.“ (ბექა, 24 წლის)

აღნიშნული ციტატები ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი დადებითი შეხედულება აქვთ რესპონდენტებს აფხაზეთის შესახებ. მათმა ოჯახის წევრებმა

იზრუნეს იმაზე, რომ ახალგაზრდებს წარმოდგენაში მაინც ჰქონოდათ აფხაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ის უცხო მხარეა და არასოდეს უნახავთ.

თბილისში დაბადებულმა რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს გადმოცემით გაგებული სოციალური ურთიერთობების შესახებ. ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში უფრო თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ადამიანებს ერთმანეთთან და მჭიდრო სოციალური კავშირი არსებობდა ოჯახებს, მეგობრებს თუ მეზობლებს შორის. როგორც გაირკვა, ახალგაზრდების მხრიდან ახლო სამეზობლო კავშირები მოწონებას არ იმსახურებს. მათ აღნიშნეს, რომ თბილისში მეზობლობის ინსტიტუტი იმდენად განვითარებული სახით არ არსებობს, როგორც გადმოცემით სოხუმზე სმენიათ და ამით სრულიად კმაყოფილები არიან.

„მაშინ ბარიერები არ იყო. დიდი სამეზობლო ჰქონდათ. ყველაფერს ერთად აკეთებდნენ, ვიცი, რომ შეიკრიბებოდნენ ერთად მეზობლები და კარგ დროს ატარებდნენ. ჭირი და ლხილიც ერთი ჰქონდათ. აქ ფაქტიურად მეზობლები არ იცნობენ იცნობენ ერთმანეთს. გაუცხოებულია ურთიერთობები.“ (ნატო, 20 წლის)

„დედა ხშირად იხსენებს ხოლმე იქაურობას, განსაკუთრებით ჩვენს სახლს, რომელიც ულამაზესი ყოფილა თავისი ეზოთი და ბაღით. განსაკუთრებით ენატრება ხალხი და ურთიერთობები, სიმართლე გითხრათ, მე არ ვემხრობი ამ დროში მეზობლებს შორის მჭიდრო კავშირებს, სრულიად მაკმაყოფილებს ჩემი ურთიერთობები.“ (ნიკა, 25 წლის)

სახლის გაგება

აღსანიშნავია, რომ სახლის გაგება ყველა ადამიანში ინდივიდუალურია და ყველასთვის განსხვავებული დატვირთვის მქონე შეიძლება იყოს. ზოგისთვის სახლი მხოლოდ საცხოვრებელია, რომელშიც არსებობის უფლება და სურვილი აქვთ, ხოლო ზოგი კი უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მას თან ახლავს „შინ ყოფნის“ სენტიმენტები, რაც ემოციური კომფორტისა და სტაბილურობის აუცილებელი პირობაა. სახლი მრავალაზროვანი ტერმინია. მის გაგებაში შეიძლება იგულისხმებოდეს, როგორც უშუალოდ საცხოვრებელი სახლი, ასევე სოფელი, ქალაქი, რეგიონი ან ქვეყანა. იგი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ადგილი, ვინაიდან ის მოიცავს ადამიანების ცხოვრების სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

ჩვენი რესპონდეტებისთვისაც სახლი მრავალხმრივი დატვირთვის მქონე და მნიშვნელოვანი ცნება აღმოჩნდა. მათ განგვიმარტეს, თუ რას ნიშნავდა და რა დანიშნულება ჰქონდა ზოგადად სახლს მათთვის.

სახლის ხსენებისას, ის რესპონდენტები, რომელთა მეხსიერებაში არსებობს აფხაზეთი, ამ სიტყვას მომენტალურად უკავშირებდნენ იძულებით დატოვებულ სახლს და მათი განწყობა პირდაპირ აისახებოდა სახის გამომეტყველებაზე, ისინი მეტად სენსიტიურები ხდებოდნენ. რესპონდენტებმა თქვეს, რომ სიტყვა „სახლი“ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს, ყველაზე მტკივნეული ცნებაა.

გამოითქვა მისი დეფინიციის უამრავი საინტერესო ვარიანტი. მათ აღნიშნეს, რომ იგი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ გეოგრაფიული საცხოვრებელი. მას აქვს ისტორიული დატვირთვა და წარმოადგენს სიმშვიდის და კომფორტულობის გარანტს, სადაც ოჯახის წევრებთან, შვილებთან, ერთად ცხოვრობს ადამიანი. სახლია იქ, სადაც თავს გრძნობ „სახლში“ და რომელიც სამყაროში ყველაზე საყვარელი ადგილია ადამიანისათვის. გარდა ამისა, მათ სახლი ისეთ სენსორულ შეგრძნებებთან დააკავშირეს, როგორიცაა სუნი, გემო და აღნიშნეს აფხაზეთის სახლის სუნის განსაკუთრებულობა, რომელიც დღემდე ახსოვთ. რესპონდენტთა ნაწილმა სახლის გაგების უფრო ფართო მნიშვნელობაზეც ისაუბრა. მათ აღნიშნეს, რომ სახლში არ იგულისხმება მხოლოდ შენობა-ნაგებობა და იგი შესაძლოა გავაიგივოთ სამშობლოსთან

ან კონკრეტულ სივრცესთან, სადაც ადამიანს ეუფლება სიმშვიდის, ბედნიერების განცდები.

„სახლი ძალიან ყოვლისმომცველი სიტყვაა. ჩემთვის განსაკუთრებული სიტყვაც კი არის. იმაზე მეტია, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. სახლი არის ადგილი, სადაც გელოდება შენი შვილი, ქმარი, შენი ოჯახის წევრები, რონელთანაც მოგონებები გაკავშირებს. ყველა ნივთს, კუთხეს თუ კუნჭულს რომ თავიანთი ისტორია აქვთ შენში. სახლი არის პრობლემებიდან გაქცევის და სულის თავშესაფარი.“ (მარინა, 46 წლის)

„სახლი ნიშნავს ოჯახს და სიმყუდროვეს, სახლი ნიშნავს ჩემს შვილებს. ჩემს პირად კუთხეს ამ სამყაროში. თბილისის სახლში ძალიან მნიშვნელოვანი ცხოვრების წლები მაქვს გატარებული. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის სახლის ხსენებისას სოხუმის სახლზე გადამაქვს აქცენტი.“ (ლონდა, 53 წლის)

„ჩემთვის სახლი ნიშნავს სოხუმს. ჩემს მიწა-წყალს, ჩემს კუთხეს,სადაც ყველა მიცნობდა, ყველა პატივს მცემდა და მეც შესაბამისად სახლად ვერ აღვიქვამ ვერც თბილისს და ვერც ამ საცხოვრებელს, ეს არის ჩემი დროებითი, იძულებითი საცხოვრებელი.“ (ვალერი, 75 წლის)

როგორც აღმოჩნდა, ვისაც მეხსიერებაში აქვთ აფხაზეთის სახლი, მათთვის სახლის გაგება უშუალოდ დაკავშირებულია წინა საცხოვრებელთან და არა თბილისის ამჟამინდელ სახლთან.

ჩვენი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მიერ სახლის გაგება ეხმიანება ჯოანა რეგულსკასა და პიტერ კაბაჩნიკის კვლევას, რომლებმაც იკვლიეს, სახლის მნიშვნელობა იძულებით გადაადგილებულ პირებში. რა ემოციური დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ და როგორია „ნამდვილი“ სახლის განცდა. მათი კვლევა ეხებოდა სწორედ აფხაზეთში დარჩენილი სახლის მიმართ სენტიმენტებს. აღნიშნულმა პროფესორებმა იძულებით გადაადგილებულ პირთა შესწავლა დაიწყეს იმ მიზნით, რათა გაერკვიათ ადგილისა და სახლის როლის მნიშვნელობა დევნილების ცხოვრებაში. რა დატვირთვა აქვს მათთვის წარსულის, ამჟამინდელსა და მომავლის სახლს. კვლევაში საუბარია სახლის განმარტებაზე და სახლის მნიშვნელობაზე ადამიანების ცხოვრებაში, რომელიც

განსაზღვრულია, როგორც ზრუნვის, ყურადღების, საიმედოობის განცდის ადგილი. სახლის ცნებაში გაერთიანებულია სივრცითი, სოციალური, ფსიქოლოგიური და ემოციური ელემენტები. ის დიდ როლს თამაშობს იდენტობის, სოციალიზაციის და კულტურული ნორმების და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. ასევე დაკავშირებულია ადამიანების სამომავლო იმედებთან და წარსულის მოგონებებთან.

დევნილებისათვის წარსულის სახლი ასოცირებულია ნორმალურ და დაცულ ცხოვრებასთან, ხოლო მომავლის სახლი კი წარსულის სახლში დაბრუნების უდიდეს სურვილთან და მატერიალური უსაფრთხოების შექმნასთან ოჯახისათვის და შვილებისათვის.

საინტერესოა, სახლის გაგების ფენომენი იმ რესპონდენტებისთვის, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ უშუალო კავშირი აფხაზეთთან. თავდაპირველად, ისინი გვესაუბრნენ სახლის მნიშვნელობაზე მათ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებისთვის სახლი დაკავშირებულია თბილისის საცხოვრებელთან. როგორც გაირკვა, ჩვენი რესპონდენტებისათვის სახლი ნიშნავს ოჯახის წევრების მოლოდინის ადგილს, სადაც არ გრძნობენ თავს მარტოდ, შეუძლიათ პრობლემებთან ბრძოლა, აქვთ სიმშვიდის, დაცულობის, იმედის გარანტია. ნაწილმა აღნიშნა, რომ სახლი არის მათი იდენტობის შემადგენელი ნაწილი და მეტიც, მისი მეშვეობით შესაძლებელია მათი შინაგანი განწყობისა და ხასიათის ამოცნობა. ნაწილმა კი სახლი ნაცნობ არომატებს, გემოებსა და მსგავსი ტიპის სენსორულ შეგრძნებებს დაუკავშირა, რომლის დროსაც, მომენტალურად სიმშვიდისა და დაცულობის განცდა ეუფლებათ.

„სახლია ის გარემო, სადაც კომფორტულად გრძნობს თავს ადამიანი, ჩემი ზოგადი წარმოდგენით.“ (ლევანი, 21 წლის)

„მე ჩემი ცხოვრება აქ მაქვს გატარებული. როცა ამ ოთახში მოვდივარ და ნაცნობ არომატებს შევიგრძნობ, ის ყველა პრობლემა, რაც მაქვს მავიწყდება. მავიწყდება, რომ დღეს ძალიან რთული დღე მქონდა.“ (ლიკა, 24 წლის)

„ჩემთვის სახლი ძალიან დიდ რამეს ნიშნავს. მგონი ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი ადგილია. სახლი არის სულიერი კომფორტის, დასვენების, სიმშვიდის გარანტი.“ (საბა, 18 წლის)

„სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა, ასეა ნამდვილად, იმიტომ, რომ სახლია ადგილი, რომლის კარსაც შევაღებ თუ არა, საყვარელ, ნაცნობ არომატებს შევისუნთქავ და ფორიაქი მთავრდება.“ (სალომე, 23 წლის)

სახლთან დაკავშირებული ასოციაციები

სახლის ხსენებისას, ამ სიტყვას ყველა ადამიანი ინდივიდუალურად აკავშირებს გარკვეული ტიპის საგნებთან თუ აბსტრაქტულ მოვლენებთან. რესპონდენტებს ვთხოვეთ, გადმოეცათ სიტყვა „სახლის“ ხსენებისას მასთან დაკავშირებული ასოციაციები. როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტთა იმ ნაწილისთვის, რომელთა მეხსიერებაშიც არის აფხაზეთი, სახლის ხსენებისას ასოციაციები, პირველ რიგში, დაუკავშირდა იძულებით დატოვებულ საცხოვრებელსა და იქაურ გარემოს. აგრეთვე, რესპონდენტებს ძირითადად გაახსენდათ შვილები, ბავშვობა, მშობლებისა და წინაპრების საფლავები. აღსანიშნავია, რომ ამ თაობის მიერ სახლის წარმოდგენები ასოციაციურად არ უკავშირდება თბილისის საცხოვრებელს.

„სახლზე, პირველ რიგში, თვალწინ მიდგება მწვანე ეზო და ამ ეზოში მდებარე ორსართულიანი სახლი. რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, ეს ასოციაციები არ წაიშლება მეხსიერებიდან.” (იზოლდა, 69 წლის)

„სახლზე თვალწინ მიდგება ბავშვობა, ვფიქრობ, რომ ბავშვობის სახლი და ბავშვობის წლები ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც ვერ წაშლი, ტკბილი და თბილი წლებია, ამიტომ მე სადაც ბავშვობა გავატარე, იქ არის ჩემი სახლი, ეს არის აფხაზეთი.“ (ზურაბი, 35 წლის)

„სახლი ნიშნავს ოჯახს და სიმყუდროვეს, სახლი ნიშნავს ჩემს შვილებს, ჩემს პირად კუთხეს ამ სამყაროში და ეს ყველაფერი უკავშირდება აფხაზეთის სახლს.“ (ნონა, 51 წლის)

ფაქტია, რომ ვისაც აფხაზეთის ცხოვრება მცირედით მაინც ახსოვს, მიუხედავად თბილისში აწყობილი კარიერისა და აქ გატარებული არცთუ მცირე წლებისა, ყველა მათგანისთვის სახლი ასოცირებულია აფხაზეთის საცხოვრებელთან და არა თბილისთან. შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ მიუხედავად თბილისში ამდენხნიანი ცხოვრებისა, ისინი ჯერ კიდევ ვერ შეეგუვნენ უეცრად შეცვლილ გარემოს,

საცხოვრებელსა და სოციალურ ურთიერთობებს. მათ ჯერ კიდევ ვერ მოიშუშეს ის სულიერი ტრავმა, რაც გადაიტანეს რამდენიმე წლის წინ. ისინი წარსულით ცხოვრობენ აწმყოში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპონდენტებს, რომლებსაც ახსოვთ თავიანთი სახლი აფხაზეთში, ამ სიტყვას ასოციაციურად აკავშირებენ აფხაზეთთან, თავიანთ წარსულის სახლთან და იქ გატარებულ წლებთან. რაც შეეხება რესპონდენტებს, რომელთაც არ ახსოვთ აფხაზეთი და შესაბამისად, არასოდეს უნახავთ იქ არსებული სახლი, ლოგიკურია, რომ სახლის გაგების და სახლის ცნების მიმართ არსებული ასოციაციები არ არის კავშირში აფხაზეთთან და მთლიანად თბილისის სახლს უკავშირდება, რომელშიც ამჟამად ცხოვრობენ და რომლის მიმართაც ყველა რესპონდენტს დადებითი ასოციაცია უჩნდება. მათ უმრავლესობას ახსენდება ძირითადად ოჯახის წევრები, მათთან ერთად გატარებული დღეები. ჩვენი რესპონდენტების ნარატივებიდან ირკვევა, რომ სახლი ყველასთვის დაცულობის და ემოციური კომფორტის განცდასთან ასოცირდება, უბრალოდ ისინი სხვადასხვა სახლზე აპელირებენ - უფროსი თაობისთვის ესაა აფხაზეთის სახლი და ახალგაზრდა თაობისთვის კი თბილისის.

„სახლის ხსენებისას მაქვს ოჯახის, ოჯახური ერთობის განცდა და ასოციაცია. ეგრევე ჩემს დას ვუკავშირებ, რომელიც პატარაა და რომელიც სახლში მოუთმენლად მელოდება ხოლმე.“ (ვაჟა, 20 წლის)

„მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარაა ეს ბინა, მე კმაყოფილი ვარ და ძალიან მიყვარს. ყველაფერი, ჩემი მოგონებები, განცდები უკავშირდება ამ სახლს. ამ კონკრეტულ ოთახს. მერე რა, რომ პატარაა, ეს მთელი ჩემი ცხოვრებაა.“ (დათო, 23 წლის)

„მახსენდება ეს სახლი, ეგრევე მახსენდება ჩემი ოთახის სუნი, ჩაი, სითბო, სიმყუდროვე, ჩემი საყვარელი ძაღლი.“ (თამარი, 18 წლის)

„სახლი ასოცირებულია ჩემთვის ოჯახთან და სიმყუდროვესთან, სახლი ნიშნავს ჩემს პირად კუთხეს ამ სამყაროში.“ (მარიამი, 25 წლის)

ორ სახლთან დაკავშირებული შეგრძნებები და განცდები

რესპონდენტებს ვთხოვეთ, ესაუბრათ თბილისისა და აფხაზეთის სახლებისა და მათთან დაკავშირებული შეგრძნებების შესახებ. საინტერესოა, რას გრძნობენ და რა დამოკიდებულება აქვთ მათ წარსულისა (როგორც მეხსიერებაში დარჩენილი, ასევე გადმოცემით გაგებული) და აწმყოს სახლებს შორის. იმ რესპონდენტების პასუხები, რომელთა მეხსიერებაშიც არსებობს აფხაზეთი, ამ საკითხზეც თითქმის იდენტურია. აღმოჩნდა, რომ მეხსიერებაში დარჩენილი წარსულის სახლსა და ამჟამინდელ საცხოვრებელს შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობს გრძნობების, დამოკიდებულებებისა და ემოციური კავშირების კუთხით.

კვლევამ ცხადყო, რომ აღნიშნული თაობის წარმომადგენლებში, აფხაზეთის სახლის მიმართ ემოციები მეტად პოზიტიური ხასიათისაა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთი მათთვის მთელი ცხოვრებაა, იგი ბოლო ადგილია, სადაც ბედნიერები იყვნენ. სოხუმის სახლის მიმართ განიცდიან სიყვარულს, ნოსტალგიას და სინანულს. მათ თავიანთი ყოფილი სახლის თითოეული კუთხე-კუნჭული უყვართ, ვინაიდან წარსულის სახლის ყველა წვრილმანს შესაბამისი ისტორია აქვს, რომლითაც ჩვენი რესპონდენტები დღემდე საზრდოობენ და ცხოვრობენ აწმყოში, სრულიად სხვა მხარეში და გარემოში. მთელი მათი ცხოვრება დაკავშირებულია სწორედ აფხაზეთის სახლთან, წვრილმანი ნივთების ისტორიასთან. ეს ჰგავს წარსულით ცხოვრებას აწმყოში, მომავლის იმედით, რომელიც გაურკვეველია.

სწორედ წარსულის სახლთან აკავშირებენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და აუცილებელ გრძნობებს, როგორიცაა: დაცულობის შეგრძნება, ბედნიერებისა და „შინ“ ყოფნის განცდები. ამბობენ, რომ აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ, აღნიშნული გრძნობები მათთვის უჩვეულოა და თითქმის აღარ არსებობს. რესპონდენტების მონათხრობიდან იგრძნობა მათი მონატრება სახლის, გარემოსა და იმ გრძნობების მიმართ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ თავი სრულფასოვან პიროვნებად იგრძნო. მათ ხაზი გაუსვეს, რომ აფხაზეთში ჰაერი, სუნი და მზეც კი განსხვავებული იყო.

„ხანდახან თვალებს დავხუჭავ და წარმოვიდგენ მეხსიერებაში სოხუმის სახლს, თითქოს იქაური სუნიც მცემს ხოლმე ხშირად. იქ მზეც კი სხვანაირი იყო. სიზმარში არასოდეს ვარ ამ სახლში, თუ მესიზმრება სახლი და ჩემი ოჯახი, ეს სოხუმის სახლია და არა ეს. ძალიან მენატრება, ცრემლის გარეშე ვერასოდეს ვიხსენებ.“ (ნინო, 68 წლის)

„ჩემი ნამდვილი სახლი მახსენდება, ის წლები მახსენდება იქ გატარებული, ჩემი მეგობრები მახსენდება, იქ ცხოვრება რავიცი ყველაფერი. მენატრება რა თქმა უნდა და არასოდეს არ დამავიწყდება ვინ ვარ და საიდან ვარ. მაქვს მონატრების, სინანულის და გულის ტკივილის განცდა.“ (ლამარა, 55 წლის)

„სოხუმის სახლს სიყვარულს დავარქმევდი, ამ სახლში ცხოვრებას კი-შეჩვევას. ხშირად ვამბობთ სიტყვებს ყოველდღიურობაში: „სახლში ვარ“ ,“სახლში მივდივარ“ და ასე შემდეგ, მაგრამ რომ დავფიქრდები ხოლმე სად სახლში? ეს ხომ ჩემი სახლი არ არის.“ (თამარი, 55 წლის)

ამასთან ერთად, განსხვავებულია შეხედულებები და დამოკიდებულებები თბილისის სახლის მიმართ, იმ თაობის რესპონდენტებში, რომლებსაც ახსოვთ აფხაზეთში დარჩენილი სახლი. ისინი აღნიშნავენ აქ ცხოვრების დადებით და უარყოფით ასპექტებს. ამდენხნიანი ცხოვრების შემდეგ, იძულებულნი გახდნენ, ამჟამინდელი საცხოვრებელიც შეეყვარებინათ ან შეგუებოდნენ მას. აღსანიშნავია, რომ მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობის წარმომადგენლები თბილისს უწოდებენ დროებით სამყოფელს, ყველა მათგანს აქვს დროებითობის შეგრძნება და სტუმრად ყოფნის განცდა და არ განიხილავენ საკუთარ სახლად, სადაც მთელი ცხოვრება უნდა იცხოვრონ. ამის არაერთი მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, იძულებით გადაადგილებული პირები ვერ ადაპტირდნენ შეცვლილ გარემოსა და საზოგადოებასთან.

აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით რთული უფროსი თაობის, ანუ ბებია-ბაბუების წარმომადგენლებისთვის აღმოჩნდა, რომლებმაც აფხაზეთში ახალგაზრდობა და მისი

შემდგომი დროის ნაწილი გაატარეს. მათი მხრიდან, მოწონებას არ იმსახურებს თბილისში არსებული ურთიერთობები, მაგალითად, სამეზობლო კავშირები, რომლებიც სოხუმთან შედარებით საკმაოდ ზედაპირულია. ჩვენი რესპონდენტების ძირითადი კომუნიკაციის საშუალება არის ვირტუალური სივრცე. სწორედ სოციალური ქსელების დახმარებით უკავშირდებიან აფხაზეთში დარჩენილ მეგობრებს და ნათესავებს და ამით ცდილობენ სიცარიელის შევსებას.

როგორც აღმოჩნდა, ვირტუალური სივრცე დიდ როლს თამაშობს იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრებაში, რის შესახებაც საუბარია ჯ. რეგულსკას და პ. კაბაჩნიკის კვლევაშიც. მათი შედეგების მიხედვით, დევნილები სოციალური ქსელების მეშვეობით ეკონტაქტებიან სხვა იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზეთში ყოფნის პერიოდში. იძულებით გადაადგილებული პირები დიდ დროს ატარებენ ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც იგივე გამოცდილება აქვთ, ასე უფრო მარტივია მათთვის წარსულის და მომავლის სახლზე საუბარი და განცდების გაზიარება.

გარდა ამისა, რაც შეეხება დადებით ასპექტებს, რესპონდენტებს მადლიერების გრძნობა აქვთ თბილისის სახლის მიმართ, იმ გაგებით, რომ „შეიფარა“ ისინი განსაცდელის დროს, ხოლო სიყვარულის სანაცვლოდ შეჩვევას უწოდებენ იმ გრძნობას, რაც მათ აკავშირებთ ამჟამინდელ საცხოვრებელთან.

რამდენიმე რესპონდენტმა, რომლებიც წარმოადგენენ მშობლების თაობას და რომლებსაც აფხაზეთში ცხოვრების გარკვეული პერიოდი აქვთ გატარებული, აღნიშნეს, რომ მუდმივად აქვთ გაორების შეგრძნება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის სახლს მშობლიურად მიიჩნევენ, თბილისის სახლთანაც აკავშირებთ გარკვეული ტიპის სენტიმენტი და შეგრძნებები, სწორედ ამიტომ მათ ტანჯავთ გაორების შეგრძნება, რაც მუდმივი და მტკივნეული პროცესია.

„ორივე სახლი მიყვარს, მაგრამ ეს სიყვარული სხვადასხვანაირია. სოხუმის სახლთან სიყვარული, ტკივილი, ტკბილი მოგონებები მაკავშირებს, მთელი რიგი გრძნობათა ერთობლიობაა ჩემში სოხუმის გახსენებისას. მნიშვნელოვანი წლები კი თბილისში და ამ სახლში მაქვს გატარებული.“ (მანანა, 65 წლის)

„თითქოს გაორების შეგრძნება მაქვს და ამ გრძნობით ვცხოვრობ. დიდი იმედი მაქვს დასრულდება ეს განცდა. თბილისში დიდხანს მქონდა გაუცხოებისა და გაორების შეგრძნება, ახლა თითქოს მივეჩვიე,მოგეხსენებათ დრო რაოდენ მნიშვნელოვანია.“ (თამაზი, 72 წლის)

როგორც აღმოჩდა, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, რომლებსაც ახსოვთ აფხაზეთის ცხოვრება, მათთვის თბილისის სახლი წარმოადგენს დროებით სამყოფელს. გადმოსახლებიდან დღემდე, ისინი იძულებულნი გახდნენ, შეგუებოდნენ ან შეეგუებინათ არსებული გარემო, თუმცა მათ ვერ მოახერხეს მასთან თავის მიკუთვნებადობა, ვერ განიცადეს „შინ“ ყოფნის შეგრძნებები. ისინი უეცრად მოხვდნენ უცხო ქალაქში, საზოგადოებაში და საცხოვრებელში, რომელიც დღემდე მათთვის მხოლოდ სახლია და არ უტოვებთ „შინ” ყოფნის განცდას. ამის არაერთი მიზეზი არსებობს: ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმების პრობლემა, მშობლიურ გარემოსთან ემოციური კავშირები, სოციალური ურთიერთობების ნოსტალგია. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ჩვენი რესპონდენტები თავს ვერ გრძნობენ „სახლში“, არის მიტოვებული წინაპრების საფლავები, რომლის მოვლის და მონახულების ძლიერი სურვილი აქვთ. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ „შინ“ სწორედ იქ არის, სადაც წინაპრების საფლავები ეგულებათ.

აღსანიშნავია, რომ „შინთან“დაკავშირებული ემოციები და დამოკიდებულებები არ განსხვავდება მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობის წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც მკაფიოდ ახსოვთ აფხაზეთის ცხოვრება. რაც შეეხება გენდერს, მამაკაცებსა და ქალებს შორის სახლის განცდებთან დაკავშირებით განსხვავებები არ გამოვლინდა. ორივე მათგანს მიკუთვნებულობა ახასიათებთ ყოფილი სახლის მიმართ და სწორედ იქ გრძნობენ თავს „შინ“, ხოლო თბილისთან სტუმრად ყოფნის შეგრძნებები აკავშირებთ. ქალები გაცილებით ემოციურად გადმოსცემდნენ თავიანთ აზრებს, განცდებს და დამოკიდებულებებს საკითხის მიმართ, ვიდრე მამაკაცები, რომლებიც თავს იკავებდნენ ემოციების ღიად გამოხატვისგან.

საინტერესოა იმ ახალგაზრდა რესპონდენტების სახლის გაგებასთან დაკავშირებული განცდები, სენტიმენტები და გრძნობები, რომლებიც თბილისში დაიბადნენ. რა აქვთ საერთო და რა განასხვავებთ მათ იმ უფროსი თაობისგან, რომელთა მეხსიერებაშიც მკაფიოდ არის ჩარჩენილი აფხაზეთი. როგორც რესპონდენტების პასუხებიდან გაირკვა, მათ რადიკალურად განსხვავებული განცდები აკავშირებთ თბილისისა და აფხაზეთის სახლების მიმართ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათთვის სახლი ასოცირდება იმ ადგილთან, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, სადაც გაატარეს ბავშვობა, აქვთ სასიამოვნო მოგონებები, სადაც ჰყავთ ოჯახის წევრები, საყვარელი ადამიანები, შესაბამისად, რესპონდენტებისთვის, ნებისმიერი ტიპის ნეგატიური თუ პოზიტიური გრძნობები და განცდები ცალსახად დაკავშირებულია თბილისის საცხოვრებელთან. მათ უყვართ თავიანთი სახლი და „შინ“ ყოფნის სულიერი განცდა სწორედ იმ სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან აკავშირებთ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. აღსანიშნავია, რომ მათთვის მხოლოდ ერთი სახლი არსებობს „შინ” ყოფნის განცდით და ეს თბილისის სახლია.

„.ჩემთვის სახლი თბილისია, აქ დავიბადე, აქ გავატარე თინეიჯერობა, ახლა სტუდენტობას ვატარებ, ეს ქალაქი და ეს სახლი დაკავშირებულია ჩემს მოგონებებთან, ტკბილ-მწარე მოგონებებთან.“ (ნოდო, 20 წლის)

„თბილისის სახლი ჩემი სახლია, აქ ვცხოვრობ დაბადებიდან და მე სხვა სახლში არც მიცხოვრია. ამიტომ მიყვარს ეს სახლი, სხვა სახლს ვერ შევადარებ.“ (თამუნა, 21 წლის)

„ჩემი სახლი თბილისია და სიმართლე გითხრათ, არც კი განვიხილავ მეორე სახლის არსებობას ჩემს ცხოვრებაში. ეს არის ჩემი საკუთარი სახლი და დანარჩენში უბრალოდ სტუმრად ვარ სეზონურად.“ (ვახო, 22 წლის)

ახალგაზრდა რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს აფხაზეთის სახლთან დაკავშირებულ განცდებზე, სენტიმენტებზე, გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება მის მიმართ. აღმოჩნდა, რომ ყველა მათგანისთვის აფხაზეთის თემა საკმაოდ მტკივნეულია და მეტიც, მისი დაბრუნების მორალური ვალდებულებები აკისრიათ. აფხაზეთი მიწის

ნაგლეჯია, რომელიც დროსთან ერთად, მათ ემოციურ მეხსიერებაში უფრო და უფრო ფერმკრთალდება და აბსტრაქტულობაში გადადის, თუმცა ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, მემკვიდრეობით მიღებული ტკივილის, წარსულის არდავიწყებას და მომავლისთვის ბრძოლას. ზოგი მათგანისთვის აფხაზეთი დაკავშირებულია ობლობის ტკივილთან, რის გამოც მშობლებისა თუ ბებია-ბაბუების გარეშე დარჩნენ.

თუმცა მიუხედავად ამ განცდებისა, სხვა საკითხია ჩვენი რესპონდენტების მიკუთვნებულობა აფხაზეთის სახლისა და გარემოს მიმართ.
თბილისში დაბადებული რესპონდენტებიდან, არც ერთს არ აქვს ისეთი ძლიერი გრძნობა, ისეთი მძაფრი ემოციური კავშირი და სიყვარული აფხაზეთის სახლის მიმართ, როგორიც თბილისის სახლის მიმართ. ისინი აფხაზეთის სახლს ვერ აიგივებენ საკუთარ, მშობლიურ „ნამდვილ“ სახლთან. ალბათ, ეს შედეგი ლოგიკურია, მათ ხომ არ უცხოვრიათ აფხაზეთში, მეტიც, არც კი უნახავთ ის. შესაბამისად, გრძნობები და სენტიმენტები მხოლოდ იმ საცხოვრებლის მიმართ გააჩნიათ, სადაც ცხოვრების მთელი პერიოდი აქვთ გატარებული.

„მე სოხუმის სახლი არ მახსოვს და შესაბამისად, ნოსტალგია, მონატრება და ასე შემდეგ, არ მტანჯავს. ჩემთვის ეს არის ნამდვილი სახლი და ალბათ, აქედან სადმე წასვლას ვერ გადავიტან. ძალიან მიყვარს თბილისი, სადმე რომ ვარ წასული ეგრევე მენატრება, ასეთი გრძნობა სოხუმზე და იქ მდებარე სახლზე არ მაქვს.“ (ნინი, 22 წლის)

„მოგატყუებთ რომ გითხრათ მივსტირი იმ სახლს და ძალიან მინდა იქ ცხოვრებათქო. იმ სახლის მიმართ არავითარი გრძნობა და განცდა არ მაქვს, გარდა იმისა, რომ გული მწყდება აფხაზეთი დროებით რომ დაკარგული გვაქვს. დიდი სიამოვნებით ჩავიდოდი ხოლმე დროდადრო, განსაკუთრებით ზაფხულობით და დავისვენებდი სოხუმში, მაგრამ საცხოვრებლად არასოდეს წავალ.“ (ლინდა, 23 წლის)

„განცდა რავიცი, ვერ გეტყვით რომ მიყვარს, უბრალოდ რადგან დედაჩემის და ჩემი ბებია-ბაბუის სახლი იყო პატივს ვცემ და კარგი იქნებოდა იქაურობის ნახვის საშუალება

რომ იყოს. რამე რომ მახსოვდეს, ალბათ უფრო სხვანაირი გრძნობები მექნებოდა, ეხლა არაფერი ისეთი.“ (თორნიკე, 19 წლის)

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ცხადად ჩანს, თუ რა მკვეთრად განსხვავებული გრძნობები აქვთ რესპონდენტებს თბილისის და აფხაზეთის სახლის მიმართ. ისინი თავიანთ ცხოვრებაში განიხილავენ ერთი სახლის არსებობას, „შინ ყოფნის“ განცდითა და მასთან მიკუთვნებადობით. საუბარია მათ ამჟამინდელ საცხოვრებელზე, რომლის მიმართაც აქვთ მნიშვნელოვანი შეგრძნებები, რომლებიც აუცილებელია ცხოვრების ნებისმიერი ეტაპისთვის. რაც შეეხება აფხაზეთის სახლს, მათ უბრალოდ დადებითი წარმოდგენა აქვთ მასზე და არ გამოირჩევიან განსაკუთრებული სენტიმენტებით.

„ნამდვილი“ სახლის განცდა

საინტერესო აღმოჩნდა ის შედეგები, რაც მივიღეთ რესპონდენტების განცდების და დამოკიდებულებების შესახებ ე.წ „ნამდვილ“ სახლთან დაკავშირებით. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია, რომელი სახლი მიიჩნევა რესპონდენტებისათვის „ნამდვილ“ სახლად და რატომ.

რესპონდენტებმა ნამდვილი სახლის კრიტერიუმებად დაასახელეს ადგილი, სადაც დაიბადნენ, საიდანაც აღიქვეს და შეიმეცნეს სამყარო, გაატარეს ბავშვობის წლები, სადაც აკავშირებთ ყველაზე მეტი დადებითი მოგონება, იმყოფებიან სიმშვიდის, დაცულობისა და კომფორტულობის მდგომარეობაში და რომელთანაც საკუთარი თავის „პოვნასა“ და იდენტიფიცირებას ახდენენ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპონდენტების სხვადასხვა თაობამ თავიანთი „ნამდვილი“ სახლი განსხვავებულ ადგილებთან დააკავშირა. რესპონდენტებისთვის, რომლებსაც მკაფიოდ ახსოვთ აფხაზეთის საცხოვრებელი, „ნამდვილი“ სახლის საზომი სწორედ მეხსიერებაში დარჩენილი სახლი აღმოჩნდა, ვინაიდან სწორედ მასთან აიგივებენ ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათებლებს.

„ ჩემი ნამდვილი სახლი სოხუმშია, ის არის ნამდვილიც და ერთადერთიც, რადგან სწორედ მასთან ვაკავშირებ ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს წლებს, მოგონებებსა თუ

ისტორიებს. თბილისის სახლი ამ მხრივ ნაკლები მნიშვნელობის მქონეა ჩემთვის.“ (ვანდა, 45 წლის)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზეთში დაბადებული რესპონდენტების უმრავლესობის სახლი საკუთრებაშია, მხოლოდ რამდენიმე მათგანი ცხოვრობს ქირით თბილისში. სახლის საკუთრებაში ქონა/არ ქონის ფაქტორი არ აღმოჩნდა „ნამდვილი“ სახლის განცდის განმსაზღვრელი და ისინი ამ შეგრძნებას სხვა მახასიათებლებთან აკავშირებენ.

„ თბილისში ქირით ვცხოვრობთ უკვე ამდენი წელია, თუმცა, აქ საკუთარი სასახლეც რომ გამაჩნდეს, ჩემთვის ნამდვილი სახლი მაინც სოხუმი იქნება.“ (შოთა, 70 წლის)

რაც შეეხება თბილისში დაბადებულ რესპონდენტებს, ახალგაზრდებისათვის „ნამდვილი“ სახლის განცდა დაკავშირებულია თბილისის საცხოვრებელთან. ამის მიზეზი მარტივია: მათ იმ გარემოს მიმართ ვერ ექნებათ განსაკუთრებული ემოციური კავშირები, რომლის უშუალო მონაწილეებიც არ იყვნენ.

„მე აქ დავიბადე, ნებისმიერი სახლის მოგონება აქ მაქვს, აქ ვარ რეალიზებული, სამეგობრო წრე მყავს და ასე შემდეგ. მოკლედ ჩემი ნამდვილი სახლი თბილისშია და არსად საცხოვრებლად წასვლას არ ვაპირებ სამუდამოდ.“ (ცირა, 18 წლის)

„ჩემი ნამდვილი სახლი თბილისშია და სწორედ მასთან არის დაკავშირებული ჩემთვის ის განცდა, რაზეც თქვენ მეკითხებით. არა მხოლოდ ეგ განცდა, არამედ ყველა გრძნობა, რომელიც სახლთან კავშირშია, რა თქმა უნდა, თბილისის სახლს ეხება.“ (ეკა, 23 წლის)

იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდი გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრებაზე გარემოსა და სოციალურ კავშირებს და როგორ შეიძლება აისახოს მის სულიერ მდგომარეობზე აღნიშნული პირობების უეცარი ცვლილება. კვლევის მონაცემები თვალნათლივ ეხმიანება შუტცის ნააზრევს.

„უცხო“ ნათელი მაგალითია იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში და ზუსტად იმ პრობლემას აღწერს, რასაც ჩვენი რესპონდენტები -განიხილავენ. საუბარია გარემოს მიმართ გაუცხოების ფენომენზე. „უცხო“ თავდაპირველად გარიყულია იმ გარემოდან, სადაც ცდილობს შესვლას, ის უცხო გარემოს არასრულფასოვანი წევრია, მან არ იცის ამ გარემოს ისტორია, მისთვის პრიორიტეტი მისი მშობლიური ადათ-წესები, მისი წინაპრების ისტორიაა. უცხო გვერდზე მდგომი უყურებს მისთვის უჩვეულო გარემოს, თუმცა, იმისათვის, რომ კარგად შეიცნოს ის, აუცილებელია მასთან დაახლოება და მასში შეღწევა. ახლა მისთვის კულტურული ხატი აღარ წარმოადგენს იმ ცოდნას, რაც ჯგუფთან დასაახლოვებლად გამოადგება, მან ახალი ცოდნა უნდა შეიძინოს და ამ გადმოსახედიდან შეიცნოს ის გარემო, რომლის წევრიც ხდება.

როგორც ვნახეთ, ჩვენი რესპონდენტები დღემდე გარიყულები არიან იმ გარემოდან, სადაც მრავალი წელია ცხოვრობენ, საკუთარ სახლსაც კი დროებით საცხოვრებლად მოიხსენიებენ და არ აქვთ „შინ“ ყოფნის შეგრძნებები, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.

მომავალი

რაც შეეხება აფხაზეთში დაბრუნების სურვილსა და სამომავლო გეგმებს, რესპონდენტების იმ ნაწილმა, ვისაც მეხსიერებაში აქვს აფხაზეთში მდებარე სახლი, ყველა მათგანმა დაუყოვნებლივ დაბრუნების სურვილი გამოთქვა და იმედი იმისა, რომ ერთ დღესაც სიტუაცია ისე დალაგდება, მათ დაბრუნებისა და მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა ექნებათ. ისინი მიიჩნევენ, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ რუსეთის გავლენისგან გათავისუფლების შემთხვევაში იქნება მათი დაბრუნება სასურველი.

ეს შედეგი ეხმიანება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) დაკვეთით, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ საქართველოში 2014 წელს ჩატარებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა კვლევას,

სათაურით: „დევნილთა დამოკიდებულების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ: საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება” , რომლის მიზანი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნებასა და ალტერნატიულ გრძელვადიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების ინფორმირება. შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 91.5% ნებაყოფლობით დაბრუნებას განიხილავს, როგორც ერთ-ერთ არჩევანს, თუ მოხდება აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან რეინტეგრაცია, ხოლო 12.3% სურს ნებაყოფლობით დაბრუნება აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში იმ შემთხვავაშიც, თუ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები, საქართველოს ჩათვლით, აღიარებენ მათ დამოუკიდებლობას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი კვლევის მონაწილე მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობის წარმომადგენლებმა აფხაზეთში დაუყოვნებლივ ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილი გამოთქვეს იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში. როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი კვლევის პროცენტული მაჩვენებლები მსგავს ტენდენციას გამოავლენს.

დაბრუნების სურვილით აღსავსე ჩვენი რესპონდენტები, რომლებიც მიეკუთვნებიან მშობლების თაობას, მუშაობენ, რეალიზებულები არიან და იბრძვიან უკეთესი მომავლისთვის. ისინი ყველაფერს აკეთებენ თავიანთი შვილების წარმატებული მომავლისათვის, რომლებსაც მხოლოდ მემკვიდრობით ერგოთ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი და მშობლებს ესეც საკმარის სტიგმად მიაჩნიათ. რაც შეეხება შედარებით ხანშიშესულ რესპონდენტებს, მათი ერთადერთი სურვილი აფხაზეთში მშობლიურ მიწაზე დაბრუნება და წინაპრების საფლავების გვერდით განსვენებაა. თუ მშობლების თაობის რესპონდენტები იბრძვიან უკეთესი მომავლისთვის, ბებია-ბაბუის თაობა მეტად პესიმისტური აღმოჩნდა, ვინაიდან ისინი პენსიონერები არიან, არ მუშაობენ და ფიქრობენ, რომ არაფერი დარჩათ ცხოვრებაში, გარდა საკუთარი მიწის მონახულებისა.

„უდიდესი სურვილი მაქვს იქ დაბრუნების, სწორედ ამის იმედით ეძლევა ჩემს ცხოვრებას აზრი და რაიმე გამართლებას ვუძებნი ჩემს არსებობას.“ (თემური, 66 წლის)

„დაბრუნება და იქ დაკრძალვაა ჩვენი ოცნება, სხვა მე არაფერი შემომრჩა, ღმერთს ვთხოვ ჯერ არ მომკლას, განა იმიტომ,რომ არ მინდა, უბრალოდ მინდა იმ მიწაზე დავიკრძალო, სადაც ჩემი ცხოვრების ყველაზე ბევრი და საუკეთესო წლები გავატარე.“ (ნუნუ, 79 წლის)

ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გვსურს კვლავ პარალელი გავავლოთ ზემოხსენებულ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევასთან, რომლის ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა სწორედ იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნებასა და მის განმაპირობებელ მიზეზებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები: რესპონდენტთა მნიშვნელოვან უმრავლესობას სურს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობითი დაბრუნება, რაც შეადგენს გამოკითხულთა 88.3%-ს, მხოლოდ 4 %-ს არ სურს ნებაყოფლობითი დაბრუნება და 2.5%-მა არ იცის. ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის მთავარ მიზეზებად დასახელდა შემდეგი: 1. „მსურს ნებაყოფლობითი დაბრუნება, დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან, ემოციური კავშირის გამო“ (30.9%); 2. „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, რადგან იქ ჩემი სახლი და ჩემი ქონებაა“ (28.7%); 3. „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, რადგან იქ ჩემი ნათესავების საფლავებია“ (26%).

ჩვენი კვლევის მონაწილე რესპონდენტების იმ თაობის ნარატივებიდან , რომელსაც ახსოვს აფხაზეთი, გამოვავლინეთ დაბრუნების სურვილთან დაკავშირებული მსგავსი ტენდენციები. მათ აქვთ ემოციური კავშირები დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან, ასევე დაბრუნების ერთ- ერთი მიზეზი არის წინაპართა საფლავებისა და დატოვებული ნათესავების მონახულება.

ჩვენი რესპონდენტების მომავლის ხედვა აგრეთვე ეხმიანება ჯ.რეგულსკასა და პ. კაბაჩნიკის კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვით, სამომავლო სახლი იძულებით

გადაადგილებული პირებისათვის მნიშვნელოვან საკითხთანაა დაკავშირებული, ესაა აფხაზეთში დაბრუნების იმედი. უმეტესი მათგანისთვის აფხაზეთში საკუთარ სახლში დაბრუნება ცხოვრების მთავარი მიზანია და ფიქრობენ, რომ ხელისუფლებამ ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოს, აფხაზეთის დაბრუნებაა. იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სახლში დაბრუნებასთან ერთად, დაკარგული ოჯახის წევრების ნახვა და აფხაზეთში მიტოვებული საფლავების მონახულება ცხოვრების მიზანს წარმოადგენს.

რაც შეეხება თბილისში დაბადებულ რესპოდენტების თაობას, საინტერესოა, რას ფიქრობენ ახალგაზრდები აფხაზეთში დაბრუნებაზე. მათ დავუსვით კითხვა, შესაძლებლობის შემთხვევაში, ექნებოდათ თუ არა დაბრუნების სურვილი.

თავდაპირველად ახალგაზრდებმა ისაუბრეს აფხაზეთის კონფლიქტზე, მისი გადაჭრის გზებსა და სამომავლო პერსპექტივებზე, ისინი მეტად დაინტერესებულნი და ინფორმირებულები აღმოჩნდნენ ამ გარემოებით. ჩვენს რესპონდენტებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნიათ და დიდი მოლოდინები აქვთ ქვეყნის მთლიანობის აღდგენის. მათ გაანალიზებული აქვთ პრობლემის სერიოზულობა და ამბობენ, რომ წლებია გაყინულ მდგომარეობაში ვიმყოფებით და ერთადერთი, რაც ამ ყინულს გაალღობს, არის ომრხრივი კომპრომისები. მათი თქმით, აფხაზეთის მოსახლეობა ღრმა ინფორმაციულ ვაკუუმშია, წლების განმავლობაში წარმოებულმა ანტიქართულმა პროპაგანდამაც საკუთარი დიდი როლი ითამაშა და საქართველოსადმი დამოკიდებულება, შესაბამისად, მწვავედ ნეგატიურია. ისინი არსებული კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებას სწორედ საკუთარ მოვალეობად მიიჩნევენ და სწამთ, რომ მათ თაობას შეუძლია ურთიერთობების გაუმჯობესება, ერთმანეთის გაცნობის, საუკეთესო მხარეებისა და პერსპექტივების დანახვის გზით.

მეორე საკითხია, აფხაზეთში სამუდამოდ დაბრუნების სურვილი. კვლევამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოავლინა მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც მივიღეთ რესპონდენტების თითქმის ერთნაირი პასუხებიდან გამომდინარე. ისინი წინააღმდეგები არიან აფხაზეთში მუდმივი დაბრუნების, მაგრამ მიუხედავად ამისა,

აქვთ სეზონურად მონახულების სურვილი. მათი ეს გადაწყვეტილება არაერთი ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში, მათთვის უცხოა აფხაზეთის მხარე, იქაური გარემო, ცხოვრების წესი, სტილი და რაც მთავარია, მათი „სახლისა“ და „შინ“ ყოფნის განცდა დაკავშირებულია დაბადების ადგილთან. რესპონდენტები თბილისში ცხოვრობენ და სრულიად ინტეგრირებულები და კმაყოფილნი არიან თავიანთი სოციალური გარემოთი. სწორედ თბილისში ხედავენ მომავლის პერსპექტივებს, როგორც კარიერული, ასევე პირადი ცხოვრების მხრივ.

გარდა ამისა, ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი არის, თბილისთან შედარებით, აფხაზეთის მხარის ნაკლებგანვითარებულობა და უპერსპექტივობა, როგორც ხარისხიანი განათლების მიღების, ასევე დასაქმების კუთხით.

საყურადღებოა ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ მოთხრობილი ფაქტი, რომელიც ნათლად ადასტურებს ახალგაზრდების მიერ ნახსენებ ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც მათ დაბრუნების სურვილი არ აქვთ. მისი თქმით, რამდენიმე წლის წინ, სპეციალური საბუთის გაკეთების შემდეგ, შეძლო აფხაზეთის მონახულება. მან დაწვრილებით გვიამბო იქ მცხოვრებლების შესახებ და აღნიშნა, რომ რამდენიმე საუკუნით უკან მოხვედრის განცდა დაეუფლა. ჩვენმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ იქ მცხოვრებლებს არ მოეწონათ მისი ჰაბიტუსი და ამით ის ყურადღების ცენტრში მოექცა.

კვლევის მონაწილე ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ საზღვრებს გარეთ გასვლის შემდეგ, უჩნდება დროულად დაბრუნების სურვილი თბილისში, ვინაიდან დიდხანს საკუთარი სახლიდან მოშორებით ყოფნის შემთხვევაში, ნოსტალგიისა და დისკომფორტის განცდა ეუფლება.

„მე აქ უნდა დავიმკვიდრო თავი, ჯერ სტუდენტი ვარ და მიმაჩნია, რომ აქ უფრო მეტის გაკეთება შემიძლია ,ვიდრე იქ. მიმაჩნია, რომ პროფესიულად უნდა განვვითარდე, ფსიქოლოგიის მიმართულებით ვსწავლობ და აქ გაცილებით მეტი პერსპექტივაა.“ (სანდრო, 19 წლის)

საგულისხმოა ის დეტალი, რომ ჩვენმა რესპონდენტებმა უფროსი თაობის ოჯახის წევრების დაბრუნების პერსპექტივის შემთხვევაშიც კი, არ გამოთქვეს აფხაზეთში სამუდამოდ ცხოვრების სურვილი.

„მე აქ დავიბადე, ნებისმიერი სახლის მოგონება აქ მაქვს,აქ ვარ რეალიზებული, სამეგობრო წრე მყავს და ასე შემდეგ. მოკლედ ჩემი ნამდვილი სახლი თბილისშია და არსად საცხოვრებლად წასვლას არ ვაპირებ სამუდამოდ, მშობლების წასვლის შემთხვევაშიც კი.“ (იოანე, 20 წლის)

„ჩემი ცხოვრების რიტმი არ შეესაბამება იქაურ ცხოვრებას, ვერ შეძლებს აფხაზეთი დაეწიოს იმ თანამედროვეობას, რაც დღესაა.“ (სოფო, 24 წლის)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა მძაფრ ემოციურ დამოკიდებულებასა და სენტიმენტზე მშობლიური (აფხაზეთის) გარემოსა და სახლის მიმართ, არ მოქმედებს დროის ფაქტორი. ჩვენს ნაშრომში განხილული სამი კვლევა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას, რომლებიც ჩატარებულია დროის გარკვეული ინტერვალით. მიუხედავად წლების ცვლილებისა, უცვლელია დაბრუნების სურვილი და მიზეზები.

ბოლო კითხვა, რაც იძულებით გადაადგილებულ პირებს დავუსვით, შეეხებოდა იმას, თუ როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი ცხოვრება აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ. ჩვენს რესპონდენტებს, რომელთა მეხსიერებაშიც არის აფხაზეთი, თბილისში საკუთარი სახლი, სოციალური წრე და კარიერა აქვთ, თუმცა ისინი თანახმა არიან, მიატოვონ აღნიშნული სოციალური და ეკონომიკური კაპიტალი და ყველაფერი ისევ ახლიდან დაიწყონ. რესპონდენტები საუბრობენ იმ სირთულეებზე, რაც შესაძლოა თან ახლდეს რესოციალიზაციას და რეინტეგრაციას, იქნება ეს ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესი მათგანის სახლი ფიზიკურად დანგრეულია, ან მასში სხვა ადამიანები ცხოვრობენ, ეს არ აღმოჩნდა დაბრუნების სურვილის დამაბრკოლებელი ფაქტორი. ისინი არ უშინდებიან აღნიშნულ

სირთულეებს და იმედი აქვთ, რომ რამდენიმე წელიწადში მათი ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება.

ჩვენი გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ რესპონდენტები თანახმა არიან, მიატოვონ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი „სიკეთე“ და ცხოვრება ისევ ნულიდან დაიწყონ. რესპონდენტების ნაწილმა ამ ყველაფერს სასიამოვნო სირთულეებიც კი უწოდა. ბებია-ბაბუის თაობის წარმომადგენელმა რესპონდენტების ნაწილმა კი აღნიშნა, რომ გათავისებული აქვთ ის დაბრკოლებები, რომლებიც შესაძლოა თან ახლდეს უკან დაბრუნებას. მათ ასაკი და შესაბამისად, ფიზიკური შესაძლებლობები, არ აძლევთ ბრძოლისა და ამ სირთულეების გადალახვის საშუალებას. მიუხედავად ამისა, მათი ერთადერთი და უკანასკნელი სურვილი აფხაზეთის მიწაზე დასაფლავებაა.

კვლევის მონაცემები აგრეთვე ეხმიანება შუტცის ნააზრევს. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომლებსაც ახსოვთ აფხაზეთი, მნიშვნელოვანია მათი სოციუმთან ურთიერთობის, ხელახალი ადაპტაციის საკითხი. ამ საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის აუცილებელია ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ფენომენი განვიხილოთ. პირველ შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებულ პირებს შეიძლება დაემართოთ გაუცხოება მანამდე მათთვის მშობლიური გარემოს მიმართ, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, განსხვავებულ გარემოში ყოფნისას შესაძლებელია გაუმძაფრდეთ მათი მშობლიური გარემოს მიმართ მიკუთვნებულობა, რაც გამოწვეულია, ინდივიდისთვის დამახასიათებელი შიდაჯგუფური მიკუთვნებულობით. ჩვენი რესპონდენტები ნათლად აცნობიერებენ, რომ შესაძლოა მათ ნაცნობი გარემოს მიმართ გაუცხოების პრობლემები ჰქონდეთ, მიუხედავად ამისა, მათი განწყობებით თუ ვიმსჯელებთ, მზად არიან ხელახალი ადაპტირებისთვის და ეს ფაქტი სულაც არ მიაჩნიათ გადაულახავ დაბრკოლებად.

რაც შეეხება გაუცხოვებას საკუთარი მშობლიური გარემოს მიმართ, „სახლში დაბრუნებულისთვის“ სახლი არის ადგილი, სადაც მან უნდა მოახდინოს რეინტეგრირება, გარემოში ხელახლა შესვლა. მისთვის, ვინც მოშორდა მშობლიურ გარემოს, სახლი სრულიად განსხვავებულად აღიქმება მათგან, ვინც დარჩა ამ გარემოში, დარჩა სახლში. სახლში დაბრუნებული სწორედ იმით განსხვავდება უცხო

გარემოში მოხვედრილი ადამიანისგან, რომ უცხო გარემოში მოხვედრისას ადამიანს არ აქვს ცოდნა და არც იმის გარანტია, რომ შეძლებს ინტეგრირებას, ხოლო მშობლიურ გარემოში სწორედ ეს მოლოდინი აქვს. შუტცის ეს ნააზრევი ეხმიანება ჩვენი რესპონდენტების განწყობებს, ვინაიდან მათ უცხო გარემოში მოხვედრისა და მრავალი წლის გატარების შემდეგ, ვერ მოახერხეს სრული ინტეგრაცია და ჯერ კიდევ წარსულით ცხოვრობენ, სწორედ წარსულში დაბრუნების იმედით. უფროსი თაობის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ საკუთარ მშობლიურ, ანუ აფხაზეთის სახლში დაბრუნების შემდეგ, აღნიშნულ გარემოში შეძლებენ სრულ ინტეგრაციას.

„როგორც ვიცი, ჩემი სახლი აღარ არსებობს, სულ ნანგრევებია მის ადგილზე. შესაძლებელი რომ იყოს დაფიქრების გარეშე დავბრუნდები სოხუმში და ჩემს დანგრეულ სახლს ფეხზე დავაყენებ 2 წელიწადში.“ (გია, 52 წლის)

„მე კი ვარ მზად სირთულეებისთვის,მაგრამ ასაკი ხელს აღარ მიწყობს. ჩემი შვილები თუ იზამენ რამეს, თორე მე ძალიან მოხუცი ვარ უკვე და დამოუკიდებლად აღარაფერი შემიძლია სამწუხაროდ.“ (ნადია, 70 წლის)

რაც შეეხება ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა აზრს დაბრუნების შემდგომ სირთულეებთან დაკავშირებით, მათ არაერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი აღნიშნეს, რაც შესაძლოა მოყვეს რესოციალიზაციას. ფიქრობენ, რომ უფროს თაობას იმდენად მძაფრი ემოციური კავშირები აქვს თავიანთი წარმომავლობის ადგილთან, რომ ბოლომდე არ აქვთ გაანალიზებული მშობლიურ გარემოში ხელახალ ცხოვრებასთან დაკავშირებული სიძნელეები. მიუხედავად ამისა, ისინი დადებითად აფასებენ მშობლებისა და ბებია-ბაბუების „სახლში დაბრუნებისკენ“ მისწრაფებას, რადგან მიაჩნიათ, რომ მშობლიურ გარემოში ადამიანი თავს კომფორტულობისა და დაცულობის ზონაში გრძნობს, ამასთან ერთად, საკუთარ მიწაზე დაბრუნება არის პატრიოტიზმის გამოვლინება.

შედარებითი ანალიზი

ჩვენს კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სამი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა: შვილებმა, მშობლებმა და ბებია-ბაბუებმა. კვლევის ანგარიშის მეორე ნაწილი სწორედ სახლის გაგების მიმართ მათი შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და სენტიმენტების შედარებას ეთმობა.

სამივე თაობის წარმომადგენლებს თითქმის იდენტური კითხვები დავუსვით. რესპონდენტთა პასუხებიდან გამომდინარე, გამოვლინდა აფხაზეთის და თბილისის სახლის გაგებასთან დაკავშირებული მსგავსი და განსხვავებული საინტერესო ტენდენციები. თავდაპირველი კითხვა ეხებოდა აფხაზეთში არსებულ ყოველდღიურობას. აღმოჩნდა, რომ მათ აქვთ სენსიტივი არა მხოლოდ სახლის, არამედ გარემოს, სოციალური კავშირებისა და ყოველდღიური ცხოვრების მიმართ, რომელიც მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. მათი აფხაზური ყოველდღიურობა შეადგენდა კეთილმოწყობილ სახლებს, მჭიდრო სამეზობლო კავშირებს, რაც ერთიანობის შეგრძნებას ქმნიდა. ასევე წარმატებულ კარიერასა და ეკონომიკურ მდგომარეობას, ისინი აღნიშნული გარემოებებით სრულიად კმაყოფილნი იყვნენ.

რაც შეეხება ახალგაზრდების წარმოდგენაში არსებულ აფხაზეთს და იქაური ცხოვრების ყოველდღიურობას, მათი შეხედულება პოზიტიურია მშობლებისა და ბებია-ბაბუების ყოფილი საცხოვრებლის მიმართ. როგორც ჩანს, უფროსი თაობის ნარატივებმა დადებითი გავლენა მოახდინა ახალგაზრდების წარმოდგენაზე აფხაზეთის შესახებ. მათ თვალში იგი ბუნებრივად ლამაზი, ეკონომიკურად მდიდარი მხარე იყო, სადაც ადამიანების ყოველდღიურობა პოზიტიურ ასპექტებს მოიცავდა და არ იყო ყოფითი პრობლემებით დატვირთული.

აღსანიშნავია, რომ სახლის გაგება და მასთან დაკავშირებული ასოციაციები, ჩვენი კვლევის მონაწილე სამივე თაობის წარმომადგენლებისთვის დაკავშირებულია დაცულობასთან, სიმშვიდესთან, ჰარმონიასთან, პრობლემებისგან თავის დაღწევის ადგილთან, ოჯახის წევრების გარემოცვასთან, ნაცნობ არომატებთან და მოგონებებთან. თუმცა რაც შეეხება განსხვავებას, ისინი სხვადასხვა სახლებზე აპელირებენ. მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობისთვის სახლთან დაკავშირებული განცდები

მიმართულია მათ ყოფილ იძულებით დატოვებულ სახლთან, ახალგაზრდა თაობისთვის კი სახლის განცდა მხოლოდ თბილისთან არის ასოცირებული. საყურადღებოა, რომ სამივე თაობა თავს მიაკუთვნებს იმ გარემოს, სადაც დაბადებულები არიან, მიუხედავად ცხოვრების მცირე თუ დიდი პერიოდის გატარებისა.

სახლის გაგებასთან ერთად, განსხვავებულია მასთან დაკავშირებული გრძნობებიც. უფროს თაობას უფრო მძაფრი ემოციური კავშირი და სენსიტიური განცდები აქვთ, აფხაზეთის სახლის მიმართ, ვიდრე ამჟამინდელი საცხოვრებლის, რაც გამოიხატება მუდმივ ნოსტალგიაში, სინანულსა და სიყვარულში. სწორედ, წარსულის სახლთან აკავშირებენ „შინ“ ყოფნისა და სახლის „ნამდვილობის“ შეგრძნებებს. მათ აქვთ მძაფრი სენტიმენტი და ემოციური კავშირები დაბადების ადგილის, ბავშვობის, გარემოსა და სოციალური ურთიერთობების მიმართ. ამ მახასიათებლების გათვალისწინებით, მათ გაუჭირდათ შეცვლილ გარემოსთან ადაპტირება და მისი გათავისება, რადგან მოუხდათ მოსაწონი სოციალური კავშირების, დასაქმებისა და სოციალური სტატუსის დათმობა და უცხო საზოგადოებაში ცხოვრება. რაც შეეხება თბილისის სახლის მიმართ გრძნობებს, მათ სტუმრად ყოფნისა და ამავე დროს, მადლიერების განცდა აქვთ, რადგან განსაცდელის ჟამს სწორედ თბილისში მოახერხეს „თავშესაფრის“ პოვნა.

თბილისში დაბადებული თაობა აღნიშნავს, რომ თბილისის სახლი არის მათი ერთადერთი და „ნამდვილი“ საცხოვრებელი, რომელთანაც ასოცირებულია ყველა ადამიანისთვის ის მნიშვნელოვანი შეგრძნება , როგორიცაა „შინ ყოფნის“ განცდა. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი დაიბადნენ და მთელი ცხოვრება გაატარეს თბილისში, სწორედ აქ ჰყავთ სოციალური წრე, არიან დასაქმებულები, იღებენ განათლებას და რაც ყველაზე მთავარია, მათ არასოდეს უნახავთ აფხაზეთის სახლი, შესაბამისად, თავს მიაკუთვნებენ სწორედ თბილისს და არა წარმოდგენაში მყოფ და გადმოცემით გაგებულ ადგილებს.

რაც შეეხება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხს, იგი ყველა მათგანისთვის აქტუალური და ამავე დროს მტკივნეული თემაა. განსხვავებულია შესაძლებლობის შემთხვევაში დაბრუნების სურვილი და მისი განმაპირობებელი

ფაქტორები. უფროსი თაობის წარმომადგენლებმა გამოთქვეს ნებისმიერ დროს მუდმივი დაბრუნების მზაობა, იმ შემთხვევაში თუ აფხაზეთი დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში და თავს დააღწევს რუსეთის გავლენას. ისინი აანალიზებენ იმ სირთულეებს, რაც აღნიშნულ პროცესს შეიძლება ახლდეს თან, იქნება ეს ეკონომიკური თუ სოციალური სახის დაბრკოლებები. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილის სახლი ფიზიკურად დანგრეულია, ხოლო ნაწილის კი თვითნებურად მითვისებულია სხვა ადამიანების მიერ, ჩვენს რესპონდენტებს იმედი აქვთ, რომ საკუთარი სახსრებით შეძლებენ ახალი საცხოვრებლის მოწყობას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დაბრუნების შემთხვევაში იქნება დაკმაყოფილებული მათთვის ის ყველაზე მნიშვნელოვანი შეგრძნება, როგორიცაა „შინ“ ყოფნა. რაც შეეხება დაბრუნების მიზეზებს, მათ აქვთ სენტიმენტი სახლის, გარემოსა და სოციალური კავშირების მიმართ, აგრეთვე, მათ მიზანს წარმოადგენს წინაპართა საფლავების მონახულებისა და მოვლის სურვილი. მიაჩნიათ, რომ „ შინ“ სწორედ იქ არის, სადაც ისინი ეგულებათ. გარდა ამისა, დაბრუნების სურვილის ერთ-ერთ მიზეზად აფხაზეთის მიწაზე დასაფლავება დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობებს შორის სახლის გაგებასთან დაკავშირებული განცდებისა და აფხაზეთში დაბრუნების სურვილის მხრივ, ფუნდამენტური განსხვავებები არ გამოვლინდა. გარდა იმისა, რომ მშობლები იბრძვიან შვილების უკეთესი მომავლისთვის, რადგან ფიქრობენ, რომ მათთვის მემკვიდრეობით მიღებული იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი საკმარის სტიგმას წარმოადგენს. ხოლო, ბებია-ბაბუებს, მათი ასაკიდან გამომდინარე, ცხოვრების ახლიდან დაწყების, ბრძოლისა და სირთულეების გამკლავების შესაძლებლობა არ აქვთ, შესაბამისად, მათი ერთადერთი სურვილი აფხაზეთის მიწაზე დასაფლავებაა.

საინტერესოა, ახალგაზრდების ნააზრევი აღნიშნული საკითხის მიმართ. მათ გაცნობიერებული აქვთ აფხაზეთის კონფლიქტის სირთულე. მიაჩნიათ, რომ იგი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, მისი დაბრუნება მათი მორალური ვალდებულებაა და ნაფიქრიც აქვთ კონფლიქტის მოგვარების გზებზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, მეორე საკითხია მათი დამოკიდებულება აფხაზეთში სამუდამოდ

ცხოვრების მიმართ. მშობლებისა და ბებია-ბაბუებისგან განსხვავებით, მათ ნაკლები ემოციური ბმა აქვთ იმ გარემოზე და მუდმივი დაბრუნება მათი ცხოვრების მიზანს არ წარმოადგენს, ისინი განმსჭვალულები არიან აფხაზეთში მხოლოდ სეზონური ცხოვრების სურვილით. მათი ეს გადაწყვეტილება არაერთი ფაქტორითაა გამოწვეული. პირველ რიგში, ისინი ინფორმირებულნი არიან აფხაზეთში არსებული დღევანდელი ვითარების შესახებ და შესაბამისად, ვერ ხედავენ იქ ცხოვრების სამომავლო პერსპექტივებს, როგორც დასაქმების, ასევე ხარისხიანი განათლების მიღების კუთხით. თავიანთი გეგმების განხორციელების გზები მხოლოდ თბილისში ესახებათ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჩვენმა რესპონდენტებმა უფროსი თაობის ოჯახის წევრების დაბრუნების პერსპექტივის შემთხვევაშიც კი, არ გამოთქვეს აფხაზეთში სამუდამოდ ცხოვრების სურვილი.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის საინტერესო და მნიშვნელოვანი ტენდენციები, რომელიც ეხება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა თაობის მიერ, სახლის გაგებასთან დაკავშირებულ განცდებს, სენტიმენტებსა და დამოკიდებულებებს. გამოვლინდა ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც რესპონდენტებმა აღწერეს „ნამდვილი“ სახლი, აგრეთვე, გამოიკვეთა, თუ რომელ მათგანს უკავშირებენ „შინ ყოფნის“, „ნამდვილობისა“ და სახლთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან განცდებს, აფხაზეთში იძულებით დატოვებულს თუ თბილისის ამჟამინდელ სახლს. გარდა ამისა, კვლევის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა სამივე თაობის რესპონდენტებში ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის, მისი მიზეზებისა და ამ პროცესის თანმხლები შესაძლო სირთულეების გამოვლენა.

კვლევა ჩატარდა თბილისში მცხოვრებ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან, მათ ვისაც ახსოვთ და არ ახსოვთ აფხაზეთში მდებარე თავიანთი საცხოვრებელი სახლები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სამი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა: ახალგაზრდებმა, მათმა მშობლებმა და ბებია-ბაბუების თაობამ. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იძულებით გადაადგილებულ პირთა სენტიმენტების შესწავლა საცხოვრებლის მიმართ. როგორია თავად სახლის განცდა, როდესაც საქმე ეხება „ნამდვილსა“ და ამჟამინდელ სახლს. როგორია წარმოსახვითი და მეხსიერებაში დარჩენილი საცხოვრებელი, იქნება ეს გამოცდილებაში მქონე, თუ გადმოცემით გაგებული.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფროსი თაობის ნარატივებიდან, რომელსაც ახსოვს აფხაზეთში გატარებული ცხოვრების პერიოდი, აღმოჩნდა, რომ მათი მოგონებები იმ მხარის შესახებ, მეტად პოზიტიურია. მათ აქვთ მძაფრი სენტიმენტი დატოვებული სახლის, გარემოს, სოციალური კავშირებისა და სტატუსის მიმართ. სწორედ, მათმა ამგვარმა დამოკიდებულებამაც შეუწყო ხელი ახალგაზრდა თაობის დადებით წარმოდგენას და დაინტერესებას წინაპრების საცხოვრებელი ადგილებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ არასდროს დაუდგამთ ფეხი აფხაზეთში.

სახლი მრავალხმრივი დატვირთვის მქონე და მნიშვნელოვანი ცნება აღმოჩნდა. რესპონდენტებმა განმარტეს, თუ რას ნიშნავდა და რა დანიშნულება ჰქონდა ზოგადად სახლს მათთვის. სახლის ხსენებისას, იმ რესპონდენტებმა, რომელთა მეხსიერებაში არსებობს აფხაზეთი, ეს სიტყვა მომენტალურად დაუკავშირეს იძულებით დატოვებულ სახლს, ხოლო ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დაიბადნენ თბილისში, სახლი მათ ამჟამინდელ საცხოვრებელთან ასოცირდა.

გამოითქვა სახლის დეფინიციის უამრავი საინტერესო ვარიანტი. გაირკვა, რომ იგი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ გეოგრაფიული საცხოვრებელი. მას აქვს ისტორიული დატვირთვა და წარმოადგენს სიმშვიდის და კომფორტულობის გარანტს, სადაც ოჯახის წევრებთან, შვილებთან, ერთად ცხოვრობს ადამიანი. სახლია იქ, სადაც თავს გრძნობ „სახლში“ და რომელიც სამყაროში ყველაზე საყვარელი ადგილია ადამიანისათვის. გარდა ამისა, სახლი ისეთ სენსორულ შეგრძნებებთან დაკავშირდა, როგორიცაა სუნი, გემო და აღინიშნა აფხაზეთის სახლის სუნის განსაკუთრებულობა, რომელიც დღემდე მეხსიერებაში აქვთ უფროსი თაობის წარმომადგენლებს. აგრეთვე, გამოვლინდა სახლის გაგების უფრო ფართო მნიშვნელობაც, სახლში არ იგულისხმება მხოლოდ შენობა-ნაგებობა და იგი შესაძლოა გაიგივდეს სამშობლოსთან ან კონკრეტულ სივრცესთან, სადაც ადამიანს ეუფლება სიმშვიდის, ბედნიერების განცდები.

აღსანიშნავია, რომ სახლის გაგება და მასთან დაკავშირებული ასოციაციები, კვლევის მონაწილე სამივე თაობის წარმომადგენლებისთვის დაკავშირებულია დაცულობასთან, სიმშვიდესთან, ჰარმონიასთან, პრობლემებისგან თავის დაღწევის ადგილთან, ოჯახის წევრების გარემოცვასთან, ნაცნობ არომატებთან და მოგონებებთან. თუმცა, რესპონდენტების მხრიდან სხვადასხვა სახლებზე მოხდა აპელირება. მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობისთვის სახლთან დაკავშირებული განცდები მიმართულია მათ ყოფილ იძულებით დატოვებულ სახლთან, ახალგაზრდა თაობისთვის კი სახლის განცდა მხოლოდ თბილისთან არის ასოცირებული.

რაც შეეხება სახლთან დაკავშირებულ შეგრძნებებსა და განცდებს, აღმოჩნდა, რომ მეხსიერებაში დარჩენილი წარსულის სახლსა და ამჟამინდელ საცხოვრებელს შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობს გრძნობების, დამოკიდებულებებისა და

ემოციური კავშირების კუთხით. აღინიშნა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის, აფხაზეთი მთელი ცხოვრება და ბოლო ადგილია, სადაც ბედნიერები იყვნენ. სოხუმის სახლის მიმართ განიცდიან სიყვარულს, ნოსტალგიას და სინანულს. მათ თავიანთი ყოფილი სახლის თითოეული კუთხე-კუნჭული უყვართ, ვინაიდან წარსულის სახლის ყველა წვრილმანს შესაბამისი ისტორია აქვს, რომლითაც დღემდე საზრდოობენ და ცხოვრობენ აწმყოში, სრულიად სხვა მხარეში და გარემოში. სწორედ წარსულის სახლთან დაკავშირდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი გრძნობები, როგორიცაა: დაცულობის შეგრძნება, ბედნიერებისა და „შინ“ ყოფნის განცდები.

განსხვავებული აღმოჩნდა, რესპონდენტების შეხედულებები და დამოკიდებულებები თბილისის სახლის მიმართ და აღინიშნა აქ ცხოვრების დადებითი და უარყოფითი ასპექტები. მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობის წარმომადგენლებისთვის თბილისი წარმოადგენს დროებით სამყოფელს, სადაც აქვთ სტუმრად ყოფნის განცდა და არ განიხილავენ საკუთარ სახლად. აგრეთვე, მშობლების თაობის მხრიდან გამოიკვეთა გაორების შეგრძნება, რომელიც დახასიათდა, როგორც მუდმივი და მტკივნეული პროცესი.

იძულებით გადაადგილებული პირების უფროს თაობაში გამოიკვეთა ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც თბილისში თავს ვერ გრძნობენ „შინ.“ ესენია: ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმების პრობლემა, მშობლიურ გარემოსთან ემოციური კავშირები, სოციალური ურთიერთობების ნოსტალგია და მიტოვებული წინაპრების საფლავები, რომელთა მონახულების და მოვლის ძლიერი სურვილი აქვთ. თბილისში უცხოდ ყოფნის განცდა განსაკუთრებით რთული უფროსი თაობის, ანუ ბებია-ბაბუების წარმომადგენლებისთვის აღმოჩნდა, რომლებმაც აფხაზეთში ახალგაზრდობა და მისი შემდგომი დროის ნაწილი გაატარეს. მათი მხრიდან, მოწონებას არ იმსახურებს თბილისში არსებული ურთიერთობები, მაგალითად, სამეზობლო კავშირები, რომლებიც სოხუმთან შედარებით საკმაოდ ზედაპირულია.

აღსანიშნავია, რომ „შინთან“დაკავშირებული ემოციები და დამოკიდებულებები არ განსხვავდება მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობის წარმომადგენლებს შორის,

რომლებსაც მკაფიოდ ახსოვთ აფხაზეთის ცხოვრება. რაც შეეხება გენდერს, მამაკაცებსა და ქალებს შორის სახლის განცდებთან დაკავშირებით განსხვავებები არ გამოვლინდა. ორივე მათგანს მიკუთვნებულობა ახასიათებთ ყოფილი სახლის მიმართ და სწორედ იქ გრძნობენ თავს „შინ“, ხოლო თბილისთან სტუმრად ყოფნის შეგრძნებები აკავშირებთ. ქალები გაცილებით ემოციურად გადმოსცეს თავიანთი აზრები, განცდები და დამოკიდებულებები საკითხის მიმართ, ვიდრე მამაკაცებმა, რომლებიც თავს იკავებდნენ ემოციების ღიად გამოხატვისგან.

კვლევამ აგრეთვე ცხადყო, რომ იმ ახალგაზრდა რესპონდენტების სახლის გაგებასთან დაკავშირებული განცდები, სენტიმენტები და გრძნობები, რომლებიც თბილისში დაიბადნენ, განსხვავებულია თბილისისა და აფხაზეთის სახლების მიმართ. სახლი ასოცირდება იმ ადგილთან, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, სადაც გაატარეს ბავშვობა, აქვთ სასიამოვნო მოგონებები, სადაც ჰყავთ ოჯახის წევრები, საყვარელი ადამიანები. სახლი მათთვის იდენტობის შემადგენელი ნაწილი აღმოჩნდა და მეტიც, ფიქრობენ, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის შინაგანი განწყობისა და ხასიათის ამოცნობა. შესაბამისად, ნებისმიერი ტიპის ნეგატიური თუ პოზიტიური გრძნობები და განცდები ცალსახად დაკავშირებულია თბილისის საცხოვრებელთან და „შინ“ ყოფნის სულიერი განცდა სწორედ იმ სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან აკავშირებთ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. აღსანიშნავია, რომ მათთვის მხოლოდ ერთი სახლი არსებობს „შინ” ყოფნის განცდით და ეს თბილისის სახლია.

რაც შეეხება აფხაზეთში დაბრუნების სურვილსა და სამომავლო გეგმებს, რესპონდენტების იმ ნაწილმა, ვისაც მეხსიერებაში აქვს აფხაზეთში მდებარე სახლი, ყველა მათგანმა დაუყოვნებლივ დაბრუნების სურვილი გამოთქვა და იმედი იმისა, რომ ერთ დღესაც სიტუაცია ისე დალაგდება, მათ დაბრუნებისა და მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა ექნებათ. გამოითქვა მოსაზრება, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ რუსეთის გავლენისგან გათავისუფლების შემთხვევაში იქნება მათი დაბრუნება სასურველი. ხანშიშესული რესპონდენტების ერთადერთი სურვილიც აფხაზეთში მშობლიურ მიწაზე დაბრუნება და წინაპრების საფლავების გვერდით განსვენება აღმოჩნდა. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი

პენსიონერები არიან, არ მუშაობენ და ფიქრობენ, რომ არაფერი დარჩათ ცხოვრებაში, გარდა საკუთარი მიწის მონახულებისა.

ახალგაზრდების თაობაში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა და ქვეყნის მთლიანობის აღდგენის დიდი მოლოდინები გამოითქვა. მეორე საკითხია, აფხაზეთში სამუდამოდ დაბრუნების სურვილი. კვლევამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოავლინა მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც მივიღეთ რესპონდენტების თითქმის ერთნაირი პასუხებიდან გამომდინარე. ისინი წინააღმდეგები არიან აფხაზეთში მუდმივი დაბრუნების, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქვთ სეზონურად მონახულების სურვილი. მათი ეს გადაწყვეტილება არაერთი ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში, მათთვის უცხოა აფხაზეთის მხარე, იქაური გარემო, ცხოვრების წესი, სტილი და რაც მთავარია, მათი „სახლისა“ და „შინ“ ყოფნის განცდა დაკავშირებულია დაბადების ადგილთან. რესპონდენტები თბილისში ცხოვრობენ და სრულიად ინტეგრირებულები და კმაყოფილნი არიან თავიანთი სოციალური გარემოთი. სწორედ თბილისში ხედავენ მომავლის პერსპექტივებს, როგორც კარიერული, ასევე პირადი ცხოვრების მხრივ. გარდა ამისა, ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი არის, თბილისთან შედარებით, აფხაზეთის მხარის ნაკლებგანვითარებულობა და უპერსპექტივობა, როგორც ხარისხიანი განათლების მიღების, ასევე დასაქმების კუთხით.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი ცხოვრება აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ, ჩვენს რესპონდენტებს, რომელთა მეხსიერებაშიც არის აფხაზეთი, თბილისში საკუთარი სახლი, სოციალური წრე და კარიერა აქვთ, თუმცა ისინი თანახმა არიან, მიატოვონ აღნიშნული სოციალური და ეკონომიკური კაპიტალი და ყველაფერი ისევ ახლიდან დაიწყონ.

რესპონდენტების მხრიდან დაფიქსირდა ის სირთულეები, რაც შესაძლოა თან ახლდეს რესოციალიზაციას და რეინტეგრაციას, იქნება ეს ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესი მათგანის სახლი ფიზიკურად დანგრეულია, ან მასში სხვა ადამიანები ცხოვრობენ, ეს არ აღმოჩნდა დაბრუნების სურვილის დამაბრკოლებელი ფაქტორი. ისინი არ უშინდებიან აღნიშნულ

სირთულეებს და რამდენიმე წელიწადში ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების იმედი გამოთქვეს.

რაც შეეხება ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა აზრს დაბრუნების შემდგომ სირთულეებთან დაკავშირებით, აღინიშნა არაერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც შესაძლოა მოყვეს რესოციალიზაციას. დაფიქსირდა შეხედულება, რომ უფროს თაობას იმდენად მძაფრი ემოციური კავშირები აქვს თავიანთი წარმომავლობის ადგილთან, რომ ბოლომდე არ აქვთ გაანალიზებული მშობლიურ გარემოში ხელახალ ცხოვრებასთან დაკავშირებული სიძნელეები.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სულიერი მდგომარეობა რთული და მტკივნეული საკითხია. მათი რეინტეგრაციის პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფომ, სპეციალისტებმა და საზოგადოებამ, რათა მათთვის თბილისის გარემო აღარ იყოს უცხო და შეძლონ მშობლიური ადგილებიდან მოშორებით ცხოვრება, როგორც სრულფასოვანმა ადამიანებმა.

გამოყენებული ლიტერატურა

Black, R. (2002). Conceptions of "Home" and the Political Geography of Refugee Repatriation . *Geography 22*, 123-138.

Black, R., & Koser, K. (1999). The End of the Refugee Cycle? Refugee Repatriation and Reconstruction. *Berghahn Books*.

Easthope, H. (2004). A Place Called Home. *Housing, Theory and Society 21(3)*, 128-138.

National Parliamentary Library Of Georgia. (n.d.). Retrieved from http://www.nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3493

Rapport, N., & Dawson, A. (1998). Migrants of Identity: Perceptions of Home in a World of Movement . *Oxford: Berg*.

Regulska, J., Kabachnik, P., & Mitchneck, B. (2010). Where and When is Home? The Double Displacement of Georgian IDPs From Abkhazia. *Journal of Refugee Studies Vol, 23 No. 3*.

Schuetz, A. (1944). The Stranger. *American Journal of Sociology, Vol. 49 (No. 6)*, 499-507.

Schuetz, A. (1945). The Homecomer. *American Journal of Sociology, Vol. 50* .

ანდრონიკაშვილი, ზ. (2011). "მოდერნულობა და ამბივალენტურობა" ზიგმუნდ ბაუმანი. In გ. ზედანია, *მოდერნულობის თეორიები* (pp. 16-22). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის, გ. ზიმელის ექსკურსი უცხოზე. (n.d.). Retrieved from socium.ge: http://socium.ge/downloads/klasikurisocteoriebi/ZIMELI.pdf

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. (2014). Retrieved from http://www.mra.gov.ge: http://www.mra.gov.ge/geo/static/55

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე . (n.d.). Retrieved from www.matsne.gov.ge: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31516

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, „დევნილთა დამოკიდებულებების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილების შესახებ; საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება.“. (n.d.). Retrieved from issa-georgia.com: http://issa-georgia.com/files/publications/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_10.pdf

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamar Tabagari; Sophiko Begashvili

Perception of Home among different generations of IDPs from Abkhazia

Sociology

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for the Degree of Master of Sociology

Thesis supervisors: Lia Tsuladze,
PhD in Sociology, Associate Professor at Tbilisi State University

Tbilisi, 2018